2010 წელი, 7-13 ოქტომბერი

ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№29 (503) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

# ერთი სკოლის გასაჭირი



ეს საზღვრისპირა რეგიონია, სადაც რუსეთის საზღვარი სოფლებიდან სულ რაღაც ორიოდ კილომეტრშია. ბოლო წლებში, შატილის მიდამოებში, რუსებმა უკვე რამდენჯერმე გადმოსწიეს საზღვარი და ქართული ნასოფლარები დაიკავეს. მახსენდება ერთ-ერთი სოფლის უკანასკნელი მცხოვრების – მიხა არაბულის სიტყვები, ჩრდილოელ მეზობელს თვალი უჭირავს ამ სოფლებზე, მაგრამ ვიდრე ჩვენ ვცოცხლობთ, მანამ აქ ვერ გადმოვლენ, როგორც კი ჩვენი ნაკვალევი აღარ იქნება, მაშინვე გადმოვლენო. მეზობელი ისეთი გვყავს, ნაკვალევის წაშლამდე ლოდინი კი არა, ასეულ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე გამოგვიყარა სახლებიდან და ლტოლვილებად გვიქცია. ამიტომ სჭირდება საზღვრისპირა რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება.

გვერდი 3

## დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს გაცილებით მეტი პედაგოგი გადალახავს ბარიერს

„არ დაგვავიწყდეს, გამოცდა ყოველთვის სტრესია, ვინც არ უნდა აბარებდეს, აბიტურიენტი თუ პედაგოგი, შეიძლება პედაგოგისთვის უფრო სტრესულიც იყოს, მაგრამ შედეგების დრამატიზება, ვფიქრობ, საჭირო არ არის.“

გვერდი 2-3

## ლიტერატურული მეგზური




გვერდი 5-6

## კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპული სტანდარტისაკენ

2010 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა რიგი ცვლილებები „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში“, რომლებიც დააჩქარებს სისტემის რეფორმირების პროცესს.

გვერდი 7-8

# დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს გაცილებით მეტი პედაგოგი გადალახავს ბარიერს

## გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე



**სასერტიფიკაციო გამოცდების შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ პროფესიული უნარების ტესტი იყო რთული. საინტერესოა თქვენი, როგორც პროფესიული უნარების ჯგუფის ხელმძღვანელის, მოსაზრება პროფესიული უნარების ტესტთან დაკავშირებით და ზოგადად სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ.**

მასწავლებელთა სერტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სასერტიფიკაციო გამოცდა, მოგეხსენებათ, ორი ნაწილისგან შედგებოდა: საგნობრივი ცოდნის შეფასება და ზოგადი პროფესიული უნარები. ორივე შემთხვევაში, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტები მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეყრდნობოდა. მასწავლებელი სკოლის საკვანძო ფიგურაა, ჩვენი მოსწავლეების მიღწევები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პედაგოგის კვალიფიკაციაზე, კომპეტენციაზე, პროფესიულ უნარებზე, რამდენად შეუძლია მას გადასცეს მოსწავლეს საგნობრივი ცოდნა, დააინტერესოს საკუთარი საგნით, შეუქმნას მოტივაცია და ა.შ. ამიტომ მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შემოწმება საკმარისი არ არის... შეიძლება პედაგოგს ძალიან ღრმა საგნობრივი ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ არ ჰქონდეს ის უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ცოდნის ეფექტურად მიტანას მოსწავლემდე, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ამდენად, პედაგოგის ამგვარი კომპლექსური შეფასების (საგნობრივი ცოდნა და პროფესიული უნარები) აუცილებლობა, ვფიქრობ, სერთიფიცირების პროცესის დაგეგმვის პროცესშივე კარგად იყო გააზრებული. თუმცა, ჩემი აზრით, სასერტიფიკაციო პროცესში, ტესტირების გარდა, სხვა კომპონენტებიც უნდა იყოს ჩართული, მაგალითად, გაკვეთილზე დაკვირვება, პორტფოლიოები და ა.შ.

პროფესიული უნარების ტესტი სრულად ეყრდნობოდა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და, სტანდარტის შესაბამისად, ტესტი სამი ნაწილისაგან (სუბტესტისაგან) შედგებოდა: (1). *განვითარებისა და სწავლების თეორიები; (2).სწავლება და შეფასება*; (3) *პროფესიული გარემო.* საკითხები გადანაწილებული იყო შემდეგნაირად: ტესტის მაქსიმალური ქულის, დაახლოებით, 20% მოდიოდა იმ საკითხებზე, რომლებიც განვითარებისა და სწავლების თეორიებს ეხებოდა. მოგეხსენებათ, ეს ახალი, უცხო ნაწილი იყო ჩვენი პედაგოგებისთვის და სწორედ ამ დავალებებთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული შიში; მეორე ნაწილი – პროფესიული გარემო, ძირითადად, მასწავლებლისა და სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნას აფასებდა და, დაახლოებით, ტესტის მაქსიმალური ქულის 15%-ს მოიცავდა; 65% კი მოდიოდა სწავლებისა და შეფასების კომპონენტზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოსწავლეთა მოტივაცია, შეფასება, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა და სხვა საკითხები და პრობლემები, რომლებთანაც გამკლავება პედაგოგს ყოველდღიურ საქმიანობაში უხდება.

რაც შეეხება პროფესიული უნარების ტესტს, სირთულეს – მოგეხსენებათ, რომ ტესტის მაქსიმალური ქულა 70-ია. საშუალო ქულა კი დაახლოებით, 36-37-ის ფარგლებშია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტესტი არ იყო ძალიან რთული, ან რთული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტესტის სირთულე საშუალო დიაპაზონშია. პროფესიული უნარების ტესტის სამივე სუბტესტი დაახლოებით თანაბარი სირთულისაა. ყოველი სუბტესტი არჩევით, პასუხიანი კითხვებით იწყებოდა. არჩევითპასუხიანი დავალებების ბლოკი მარტივი იყო, ამ დავალებების სირთულე 70%-ს შეადგენდა (რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგთა 70%-მა და მეტმა სწორად უპასუხა ამ კითხვებს). პედაგოგთა გარკვეულ ნაწილს უფრო გაუჭირდათ ისეთი დავალებების შესრულება, რომლებიც მსჯელობას, ანალიზს, არგუმენტირებას მოითხოვდა.. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნიშნული ძალიან მაღალი იყო, ანუ მასწავლებელს, სერტიფიკატი რომ მიეღო, მაქსიმალური ქულის 60% უნდა გადაელახა, როგორც საგნობრივ ასევე პროფესიული უნარების ტესტში, ამასთან, წელს სასერტიფიკაციო გამოცდები ამ ფორმატით პირველად ჩატარდა, შედეგები ნამდვილად არ იყო ცუდი.

რატომღაც, მედიამ აიტაცა ინფორმაცია, რომ ბევრი პედაგოგი ჩაიჭრა. ეს, უბრალოდ არაეთიკურია. როგორც იცით, გამოცდაზე 10 ათასამდე პედაგოგი გამოვიდა, აქედან 50 პროცენტზე მეტმა, ერთ საგანში მაინც, ზღვარი გადალახა. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ამ 10 ათასიდან ძალიან ბევრი მხოლოდ ერთ საგანს აბარებდა და, შესაბამისად, სერტიფიკატის აღების შანსი არ ჰქონდა. მათ, ვინც ერთ გამოცდაზე გადალახა ბარიერი, შეუძლიათ შეინახონ ეს ქულა და მომავალ წელს მხოლოდ ერთი გამოცდა ექნებათ ჩასაბარებელი. ამგვარად, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა მცირე რაოდენობა იმით კი არ არის განპირობებული, რომ ან ტესტი იყო განსაკუთრებით რთული, ან პედაგოგები იყვნენ ძალიან ცუდად მომზადებულნი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ, დაახლოებით, 6 ათასი პედაგოგიდან, ვინც ორივე საგანს აბარებდა, 1360-მდე დღეს სერტიფიცირებულია. პროფესიული უნარების ტესტში ბარიერი გადალახა დაახლოებით პედაგოგთა 31%-მა.

სერტიფიცირება ძალიან სერიოზული პროცესია. ალბათ, გახსოვთ, აბიტურიენტების შემთხვევაში, მინიმალური კომპეტენციის ზღვარს სიმბოლური დატვირთვა აქვს – აბიტურიენტმა შეიძლება 25%-იანი ბარიერი გადალახოს, მაგრამ ეს სასელექციო პროცედურაა – მაღალი კონკურსის შემთხვევაში, ამ ბარიერის გადალახვა, უმეტეს შემთხვევაში არ არის საკმარისი უმაღლესში ჩასარიცხად, ანუ ბარიერს მართლაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში, ეს დატვირთვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 60%-იანი ბარიერის გადალახვა, ორივე ნაწილში – პროფესიულსა და საგნობრივში – ავტომატურად ნიშნავს სერტიფიკატის მიღებას.

მიმაჩნია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ პროცესმა ბიძგი უნდა მისცეს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, სწავლების ახალი მეთოდების, მიდგომების ათვისებასა და გამოყენებას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად. სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ტესტების მომზადება ძალიან სერიოზული გამოწვევა იყო გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის. არა მხოლოდ პედაგოგები აბარებდნენ გამოცდას. . . ჩვენ, ფაქტობრივად, მთელ პედაგოგიურ საზოგადოებას ვაბარებდით გამოცდას. ამ პასუხისმგებლობას ყოველთვის კარგად ვაცნობიერებდით. სწორედ ამიტომაც, სანამ ტესტის საბოლოო ფორმას შევიმუშავებდით, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ყველა რეგიონში, ვატარებდით საცდელ ტესტირებებს, პედაგოგებთან შეხვედრებს. მიმაჩნია, რომ როგორც საგნობრივ, ასევე პროფესიული უნარების ტესტებში ეს გამოცდილება ეფექტურად იქნა გამოყენებული, თუმცა სასერტიფიკაციო ტესტში საკვანძო დოკუმენტი მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტია. სწორედ სტანდარტი განსაზღვრავს იმ კომპეტენციებს, რომელსაც პედაგოგი უნდა ფლობდეს. შესაბამისად, ჩვენ ვერაფრით ვერ გადავუხვევდით იმ მოთხოვნებს, რასაც სტანდარტი აყენებს.

არის ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვა – ნებისმიერ სასერტიფიკაციო პროცესს წინ უნდა უძღოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქტივობები. ამ თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში, გარკვეული აქტივობები დაიგეგმა და განხორციელდა – გამოიცა ახალი სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის (სამტომეული), რომლითაც სარგებლობდნენ პედაგოგები; გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ყველა საგამოცდო საგანში გამოსცა ბუკლეტი: ,,როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის"; ჩატარდა ტრენინგები. შეიძლება ამ პროცესებში გარკვეული ხარვეზი არსებობდა, მაგალითად, როგორც ჩანს, ზოგიერთი პროვაიდერი ორგანიზაცია, რომელიც უძღვებოდა მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამას, არ იყო დაკომპლექტებული მაღალი კვალიფიკაციის კადრებით. ასეთი პრეტენზიები არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ ამის მენეჯმენტი ჩვენი ცენტრის კომპეტენცია არ იყო. იმედი გვაქვს, ეს ხარვეზები, რომლებიც მაინც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, წელს უკვე გამოსწორდება.

პროფესიულ უნარებში ძირითადი სირთულე პედაგოგებს შეექმნათ იმის გამო, რომ ბევრ შემთხვევაში პირობა და დავალების მოთხოვნა ბოლომდე არ იყო კარგად გააზრებული. მაგალითად, დავალების პირობა მოითხოვდა აღწერილი კონკრეტული სიტუაციის ანალიზს. ანალიზის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ პირობა იყო გადმოწერილი, ან პირობის ტექსტის პერიფრაზი იყო მოცემული. შეფასების სქემის მიხედვით, ამ შემთხვევაში, ანალიზის კომპონენტში ქულა არ იწერებოდა. ანალიზი, დავალების პირობის მიხედვით, მოითხოვდა დავალებაში აღწერილ ფაქტებზე დაყრდნობით პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შესაძლო უარყოფითი შედეგის აღწერას. პრობლემის იდენტიფიკაცია გულისხმობს მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთებას – მაგალითად, ბავშვს აქვს სოციალური ინტეგრაციის პრობლემა ან სჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ა.შ. ძალიან ხშირად ეს იწვევდა გაუგებრობას, პედაგოგები მოდიოდნენ პრეტენზიით, მნიშვნელოვან ნაწილს დავალებისთვის მოცემული ადგილი შევსებული ჰქონდათ, ძირითადად, პირობაში მოცემული ინფორმაციით ან მისი პერიფრაზით. უმეტეს შემთხვევაში, როცა ვუხსნიდით, რატომ დაიწერა ესა თუ ის ქულა, პედაგოგები იგებდნენ, რა ხარვეზი ჰქონდა მათ ნაშრომს. ვფიქრობ, რომ წლევანდელი გამოცდები საუკეთესო გამოცდილება იყო მათთვის და მომავალ წელს ამგვარი პრობლემები მათ არ შეექმნებათ. იყო ამგვარი პრეტენზიებიც ,,მხოლოდ 1-2 ქულა მაკლდება და რატომ არ შეიძლება მომატებაო". სააპელაციო კომისია ვერ ხედავს, რამდენი ქულა აქვს ჯამში აპლიკანტს და მისი მოვალეობაა, ნაშრომების სამართლიანად გასწორება და არა ,,ხელოვნურად" ქულის მომატება. სააპელაციო კომისიის მუშაობა ორიენტირებული იყო მაქსიმალურად სამართლიან შედეგზე. იყო შემთხვევები, როდესაც აპლიკანტებს ქულა მოემატათ,ამასთან, იყო შემთხვევები, როცა აპლიკანტებს ქულა დააკლდათ. როგორც წესი, აპელაციაზე ძალიან მცირე რაოდენობას შემოაქვს განაცხადი, მაგრამ ვისაც შემოაქვს, გარკვეული საფუძველი აქვს, რადგამ მას შეუძლია ვებგვერდზე გადაამოწმოს თავისი ნაშრომი.

რაც შეეხება აპელაციამდე გასწორების პროცესს: ნაშრომები ელექტრონულად სწორდებოდა, გასწორების პროცესი კონფიდენციალური იყო, რამდენიმე გამსწორებელი ერთ კონკრეტულ დავალებაზე იყო მიმაგრებული, არანაირი იდენტიფიცირების საშუალება არ არსებობდა – გამსწორებელი მხოლოდ ერთ კონკრეტულ დავალებას აფასებდა, ამოჭრილს საერთო ტესტიდან. თითოეული დავალება კი მინიმუმ ორჯერ დამოუკიდებლად ორი გამსწორებლის მიერ ფასდებოდა.

ამჯერად ვუშვებთ ბუკლეტს, რომელშიც გამოქვეყნდება 2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტები, ამასთან, ყველა ის ტიპური შეცდომა იქნება განხილული, რომელიც პედაგოგებმა დაუშვეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. დავურთავთ განმარტებას, რეკომენდაციებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღებ. მოცემული იქნება დავალებათა ნიმუშები, რომლებშიც ამა თუ იმ აპლიკანტმა მაქსიმალური ქულა მიიღო, ასვევ პასუხების ნიმუშები, რომლებშიც შედარებით დაბალი ქულები დაიწერა, თანდართული განმარტებებით. დეტალურად იქნება განხილული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა, რაც მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის პედაგოგებს შეფასების სქემასა და შეფასების პროცესზე. დარწმუნებული ვარ, პედაგოგები, რომლებმაც წელს საკმაოდ მაღალი ქულები აიღეს, მომავალ წელს ბარიერის დაძლევას იოლად შეძლებენ, უკვე მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არა გამოცდისთვის მზადება, არამედ მასწავლებლის მიერ სკუთარ პროფესიულ დაოსტატებაზე ზრუნვა და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის აქტიური ხელშეწყობაა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი ბუკლეტთან ერთად (,,როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის") ამზადებს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელშიც მოცემული იქნება თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი, იმ საკითხებზე რომელსაც მოიცავს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (,,ეფექტიანი სწავლება: თეორია და პრაქტიკა"). ეს იქნება კიდევ ერთი დამხმარე მასალა პედაგოგებისთვის.

ძალიან არ მომწონს, როცა მედია ან თავად პედაგოგები სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების განხილვისას „ჩაჭრის" ცნებით ოპერირებენ. ეს არაადეკვატურია. როცა ასეთი მაღალი ნიშნულია, სტანდარტის მოთხოვნებიც საკმაოდ მკაცრია (რაც, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივია, რადგან, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდა პედაგოგზეა დამოკიდებული), ეს პროცესი მაღალი სტანდარტის მიღწევაზეა ორიენტირებული და არა მინიმალური კომპეტენციის შეფასებაზე. ამ პროცესის სარგებელი, ჩვენთვის და, ჩემი აზრით, ქვეყნისთვისაც არის ის, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მოხდეს მაქსიმალურად. ტესტირება ძალიან სერიოზულ ბიძგს აძლევს პედაგოგს, მოიძიოს ახალი რესურსები, გაიგოს მეტი ახალი მეთოდების შესახებ, გამოიყენოს ის რეალურ, პრაქტიკულ საქმიანობაში, ზოგადად, იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან, მთავარი და მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უფრო ქმედითი და სერიოზული სისტემა შეიმუშავოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

არ დაგვავიწყდეს, გამოცდა ყოველთვის სტრესია, ვინც არ უნდა აბარებდეს, აბიტურიენტი თუ პედაგოგი, შეიძლება პედაგოგისთვის უფრო სტრესულიც იყოს, მაგრამ შედეგების დრამატიზება, ვფიქრობ, საჭირო არ არის. გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო პირველი წელი, იყო მაღალი ბარიერი და სერიოზული მოთხოვნები. მისასალმებელია, რომ ამდენმა ადამიანმა გამოიჩინა წელს გამბედაობა. მათ თავისუფლად შეეძლოთ დამკვირვებლის როლში ყოფნა, მაგრამ გავიდნენ გამოცდებზე, გარკვეული გამოცდილება მიიღეს და ახლა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ამ გამოცდილების, ჩვენთან ერთად, გაანალიზება და სამომავლოდ ეფექტურად გამოყენება.

ისევე, როგორც პედაგოგებისთვის იყო ეს გამოცდა პირველი, ჩვენი ცენტრისთვისაც ამ ტიპის ტესტი – პირველი იყო. ის, რომ განვითარების თეორიების ნაწილში პედაგოგების საშუალო მაჩვენებელი 50-ს უახლოვდება და ამ ნაწილის სირთულე ისეთივეა, როგორც პროფესიული უნარების სხვა სუბტესტე-

→ 3

## მასწავლებელთა სერტიფიცირება

ბის სირთულე, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, იმისათვის რომ ტესტი პედაგოგებისთვის კომფორტული ყოფილიყო. ხელოვნურად ტესტის გამარტივება და შეფასების სქემის რეალობაზე მორგება კი ჩვენი მიზანი არ იყო. სტანდარტი იმიტომ დაწესდა, რომ, შეძლებისდაგვარად, ყველა ერთად შევეცადოთ, პედაგოგებმა ეს სტანდარტი დაძლიონ და კარგი შედეგი მივიღოთ. ჩვენი სურვილია, ბიძგი მივცეთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ვფიქრობ, თანამშრომლობა პედაგოგებთან უნდა გაგრძელდეს. ამ შედეგებმა არ უნდა გამოიწვიოს ურთიერთბრალდებები, პასუხისმგებლობებისგან თავის არიდება. ეს არაეთიკურია. მაგალითად, პედაგოგთა მხრიდან, ასეთი განცხადებები, რომ ტესტი იყო ცუდი, ძალიან რთული, ან გასწორებულია ტენდენციურად, სპეციალურად დამაკლეს ქულა, მეორეს მხრივ, ჩვენი მხრიდან, პედაგოგების დაბალ კვალიფიკაციაზე მსჯელობა არაეთიკურია. თუმცა გამოცდების ცენტრს ეს არ გაუკეთებია და არც არასოდეს გააკეთებს. ის, რომ, თითქოს, დაბალი კვალიფიკაციის პედაგოგები გვყავს, რეალობას არ შეესაბამება. იყო შესანიშნავი ნაწერებიც და საუკეთესო შედეგებიც, მაგალითად, მათემატიკის ტესტში ორმა პედაგოგმა მაქსიმალური 70 ქულა მიიღო, პროფესიული უნარების ტესტშიც იყო ძალიან მაღალი ქულები და ძალიან კარგი ნაწერები.

იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენს ცენტრში მოდიოდნენ პედაგოგები, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი და გამოთქვამდნენ წუხილს: ,,ამის შემდეგ კლასში როგორ შევიდეთო". ეს ვითარების არაადეკვატური შეფასებაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო გამოცდის პირველი წელი, სრულიად ახალი ფორმატის ტესტები, მოსამზადებელ პერიოდში იყო გარკვეული ხარვეზები და ა.შ. რა თქმა უნდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა სჭირდება, გასაკუთრებით, ლიტერატურის თვალსაზრისითაც. ეს ყველაფერი მომავალი წლისთვის გათვალისწინებული იქნება. რაც მთავარია, არც ერთი პედაგოგი, რომელმაც ზღვარი ვერ გადალახა, სკოლას არ ტოვებს, აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას და 2014 წლამდე ძალიან დიდი დრო აქვს, რომ ეფექტურად მოემზადოს.

როდესაც ბუკლეტი, რომელსაც ჩვენი ცენტრი ამზადებს, პედაგოგებამდე მივა, ისინი თვალნათლივ დაინახავენ, რა ტიპის შეცდომები დაუშვეს პედაგოგებმა – ერთი, როგორც უკვე გითხარით, პირობების გადმოწერა, ან ყოველგვარი ანალიზის გარეშე მისი პერიფრაზირება იყო. მეორე, როცა რამდენიმე მითითება აქვს დავალებას – დაასახელე, ახსენი... ახსნის, არგუმენტირების კომპონენტი უმეტეს შეთხვევაში, ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი ან საერთოდ არ იყო, ეს შემთხვევები ძალიან დეტალურად იქნება განხილული ჩვენს ბუკლეტში. კიდევ ერთი ტიპური შეცდომის მაგალითია ზოგადი პასუხები, მაგალითად, აღწერილია კონკრეტული მოსწავლის პრობლემა და მასწავლებელს ვთხოვთ, აღწეროს მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა, რომელიც პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს. ხშირად პასუხები ძალიან ზოგადი ხასიათის იყო, მაგალითად, „გამოვხატავდი მის მიმართ სითბოს" ან „ავუმაღლებდი მოტივაციას", პასუხში არ იყო მითითებული როგორ, რა გზით აუმაღლებდა პედაგოგი მოსწავლეს მოტივაციას. თუნდაც ერთი კონკრეტული სტრატეგიის აღწერა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მოტივაციის ამაღლებაზე, მათ ქულას აძლევდა.

რაც შეეხება ტესტთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, მე თვითონ საგამოცდო ცენტრში ვიყავი და გამოცდიდან გამოსულ პედაგოგთა არც ერთი პრეტენზია არ მომისმენია, თუმცა, გასწორების პროცესის შემდეგ ეს პრეტენზიები გაჩნდა – მოეჩვენათ, რომ ძალიან მკაცრად იყო გასწორებული. ჩვენს ჯგუფს არ დაუშურებია ძალისხმევა და თითოეულ ადამიანს, ვინც ჩვენს ცენტრში მოდიოდა, ვუხსნიდით, რატომ მიიღეს კონკრეტული ქულა. ყველას ჰქონდა საშუალება, სააპელაციო კომისიაში შეეტანა განაცხადი. კომისია ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული და მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ, ხელახლა გაესწორებინათ ნაშრომები. რადგან პროფესიული უნარების ტესტს 10 ათასამდე ადამიანი წერდა, შედარებით მეტი განაცხადი შევიდა სააპელაციო კომისიაში. უმეტეს შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი ვისაც შემოაქვს, მას ამის საფუძველი აქვს, თუმცა იყო საპირისპირო შემთხვევებიც. თუ გასწორების პროცესში რაიმე ხარვეზი გაიპარა, სააპელაციო კომისიამ ეს ხარვეზი გამოასწორა.

მომავალ წელს, სასერტიფიკაციო გამოცდებზე, გაცილებით მეტი პედაგოგი გვეყოლება, რადგან იწყება სასერტიფიკაციო გამოცდები სხვა საგნებისა და დაწყებითი საფხურის პედაგოგებისთვის. ჩვენი სამუშაოს მოცულობაც უდიდესი სისწრაფით იზრდება. გვემატება სასკოლო გამოსაშვები გამოცდები და, ფაქტობრივად, 24-საათიან სამუშაო რეჟიმში ვართ. სამუშაოს მოცულობის მიუხედავად, დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, რომ იმ ძირითადი პრინციპების ერთგულები დავრჩებით, რომლებსაც ამ ცენტრის დაარსების პირველივე დღიდან ვემსახურებით – სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა..

**სამომავლოდ ტესტის ფორმატი ხომ არ შეიცვლება?**

ტესტის ფორმატი არა თუ წელს, 2014 წლამდე დაახლოებით იდენტური იქნება, მინიმალური ცვლილებებით. სუბტესტებზეც პროცენტული გადანაწილება, ისეთივე იქნება, როგორიც არის.

ყველა პედაგოგს მოვუწოდებ, ყურადღებით განიხილოს ჩვენი ახალი გამოცემა ,,როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის — პროფესიული უნარები", გაეცნოს ასევე ჩვენს მიერ გამოცემულ ახალ, დამხმარე სახელმძღვანელოს „ეფექტიანი სწავლება – თეორია და პრაქტიკა", და რა თქმა უნდა, პროფესიული გადამზადების ცენტრის მიერ გამოცემულ სამტომეულსა და სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ძირითად გამოცემებს.

ვგეგმავთ ეროვნული კონფერენციის ორგანიზებას, სადაც განვიხილავთ სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სავარაუდოდ, კონფერენცია დეკემბერში გაიმართება. როგორც უკვე გითხარით, გამოვა დამხმარე მასალები და ვფიქრობთ, მომავალ წელს ეს პროცესი ბევრად უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლის.

მიმაჩნია, რომ პირველი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ჩვენ საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს, პედაგოგთა 50 პროცენტზე მეტმა ერთ საგანში მაინც დაძლია მაღალი ნიშნული. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს, ეს რიცხვი ბევრად გაიზრდება. პედაგოგებმა წელს ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინეს. ჩვენც, ცხადია, ამ თვალსაზრისით, გამოცდილებას ვიძენთ. მინდა, რომ ყველა პედაგოგი გაგებით მოეკიდოს ამ პროცესს. საყვედური, რატომ არ შეიძლებოდა 1-2 ქულის მომატება, ყოველთვის ადეკვატური არ არის. არსებობს შეფასების სქემა და გამსწორებელი ვალდებულია, მიჰყვეს მას. ყველას მინდა წარმატება ვუსურვო მომავალ წელს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პედაგოგებს მაქსიმალურად დავეხმაროთ. ჩვენ ტესტებს ვინც არ უნდა გადახედოს, მიხვდება, ეს ტესტები ისეა შედგენილი, რომ პედაგოგს აძლევს საშუალებას მაქსიმალურად გამოავლინოს ცოდნა. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს, პედაგოგები გაითვალიწინებენ ჩვენს რეკომენდაციებს, პროფესიული უნარების ტესტში ბარიერს გაცილებით მეტი პედაგოგი გადალახავს.

თუ გახსოვთ, 2005 წელი, როცა პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, იყო პრეტენზიები, ეს იყო ძალიან რთული, სიახლეებით სავსე წელი აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისთვის. მაგრამ გავიდა დრო და ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა ძალიან დიდი ნდობა მოიპოვა. დარწმუნებული ვარ, ასევე იქნება სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებითაც.

**2014 წლიდან ტესტი შეიცვლება?**

2014 წლიდან, ტესტის ფორმატში, შეიძლება გარკვეული ცვლილებები შევიდეს, მაგრამ ეს ისეთი შორეული პერსპექტივაა, რომ დეტალური საუბარი ამის შესახებ დღეს გამიჭირდება.

*ესაუბრა*
***ლალი თვალაბეიშვილი***


IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**აცხადებს კონკურსს**

ქვემოთ ჩამოთვლილი აკადემიური თანამდებობებისათვის:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი – 1

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი – 1

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
- ფოტოსურათი;
- დიპლომის ასლი;
- განცხადება;
- პუბლიკაციების ქსეროასლი.

საბუთები მიიღება
2010 წლის 11 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
59 50 05 (131)

საკონტაქტო პირი:
პრორექტორი, პროფ. დოქტ. ნათელა დოღონაძე



ასოციაცია
„ჯუნიორ ეჩივმენტ–საქართველო"
გთავაზობთ

შემდეგ ტრენინგ-პროგრამებს

საინფორმაციო მენეჯერების
(ე.წ. აიტი მენეჯერების) გადამზადება (მასტერკლასი)
4 დღე, 200 ლარი;

დირექტორის მოადგილეების გადამზადება
1 დღე, 30 ლარი;

კათედრის გამგეების გადამზადება
1 დღე, 25 ლარი;

სკოლის საქმეთა მმართველების გადამზადება
1 დღე, 40 ლარი;

კლასის დამრიგებლების გადამზადება
1 დღე, 30 ლარი;

სააბიტურო კურსი – ზოგადი უნარები
2 დღე, 50 ლარი.

სასერტიფიკაციო გამოცდების მოსამზადებლად

პროფესიული უნარები პედაგოგებისათვის (როგორც ქართული, ასევე რუსულენოვანი მასწავლებლებისათვის)
6 დღე, 90 ლარი;

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების საგნობრივი პროგრამა
6 დღე, 100 ლარი;

ინგლისური ენის მასწავლებლების საგნობრივი პროგრამა – 6 დღე, 90 ლარი.

შენიშვნა: 1 დღე = 5სთ.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
893 10 44 25 – ნინო ჯარიაშვილი

აქტუალური თემა

# ერთი სკოლის გასაჭირი



შატილის სკოლა. ბელა წიქარიშვილის ფოტო

„მამავ, მაგწერე ნამცეცავ,/ უბრალო ბარათაია,/ მე მთებისაკენ მივდივარ,/ ალმართი ამათაია,/ თვალებს რო შემომანათებ,/ვიფიქრებ წალმართაია,/ ჩემო პატარა გოგონავ,/ ჩემო პატარა თაიავ,/ საყდართგორ ამომირბინე/ შენოდენ ალმართაია“ – ეს ლექსი ხევსურმა პოეტმა **ნიკო არდოტელმა** თავის პატარა ქალიშვილს, თაიას მიუძღვნა, რომელიც დღეს საყდართგორის ალმართის ნაცვლად სოფელ გამარჯვების ქუჩებში დარბის. ის და მისი უფროსი ძმა გიორგიც ახალ სასწავლო წელს, შატილის სკოლის ნაცვლად, იქ შეხვდნენ. ვინც პირიქითა ხევსურეთში, კონკრეტულად კი მილმახევში ყოფილა, უთუოდ ეცოდინება, ნიკო რაოდენ დიდი მოჭირნახულეა თავისი ხეობის, ეს სამშვილიანი ოჯახი კი გამორჩეულად ეიმედებოდა ისედაც დაცლილ მთას. დღემდე არდოტის მშვენიერ ფერდობებს ამ ბავშვების ხმაური აცოცხლებდა, ახლა კი იქაურობაც ისევე დადუმდება, როგორც მილმახევის სხვა სოფლები – ხახაბო, არჭილო, ანდაქი, ბახაო...

სულ რამდენიმე დღეა, ამ ოჯახმა ხევსურეთი, მთის წვერზე შემოსკუპებული კოპწია არდოტი დატოვა და ბარში გადმოსახლდა. მთას ერთ-ერთი ყველაზე სისხლსავსე არტერია მოაკლდა – ხევსურეთში ხომ სასკოლო ასაკის ბავშვი სულ რამდენიმეა დარჩენილი, სამშვილიანი ოჯახიც ბევრი არაა. ამ ნაბიჯის გადადგმისგან ნიკო არდოტელი დიდხანს იკავებდა თავს და ცოცხალი თავით არ სურდა მშობლიური ხეობის მიტოვება. იქაურობა მას არც ახლა დაუტოვებია – ცოლ-შვილი გამარჯვებაში დააბინავა თუ არა, თვითონ მაშინვე მთაში გაბრუნდა და ძველებურად არდოტში გამოიზამთრებს, მაგრამ ამჯერად – ცარიელ სახლში. მთელი ზამთრის განმავლობაში, ვიდრე დიდთოვლობა პირიქითა ხევსურეთს 7-8 თვით მოსწყვეტს გარესამყაროს და პატიმარივით ჩაკეტავს რუსეთის საზღვართან შეყუჟულ ხეობას, ნიკო მხოლოდ იმ ცადაზიდულ მთებს გაუზიარებს ლექსებად ამოთქმულ ფაქიზი სულის ნაფიქრს. ვინ იცის, დარდიან მზერას დღეში რამდენჯერ მიაპყრობს დათვიჯვრის დათოვლილ უღელტეხილს, ანუ იმ მხარის გადასასვლელს, საითაც ცოლ-შვილი ეგულება... მთელი წელიწადი გაივლის, ვიდრე პატარა თაია მამას ისევ შეანათებს საოცრად ლამაზ, ფიქრიან თვალებს...

ამ ზაფხულს ხევსურეთი და საქართველო საზარელმა ტრაგედიამ შეძრა – სწორედ მილმახევში მომხდარ ავტოავარიას 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მათ შორის – სამი მცირეწლოვანი ბავშვი. დაიღუპა ერთი აქაური ოჯახი – შატილის თემის გამგებელ **გელა დაიაურის** ცოლ-შვილი, ცნობილი ფოლკლორისტი და მომღერალი **თეონა ქუმსიაშვილი** ორ შვილთან ერთად. დემოგრაფიული პრობლემებით უკიდურესად შეჭირვებული რეგიონისთვის, სადაც ბავშვები თითქმის არ არიან, ხოლო სოფლების უმეტესობა საბოლოოდ დაიცალა, ეს კატასტროფა იყო. იქაურობისთვის არანაკლები ტრაგედიაა არდოტელების ოჯახის წამოსვლაც, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმა თავად ცოლ-ქმრის – ნიკო არდოტელის და **მარიამ დაიაურისთვისაც** დიდი სულიერი დრამაა.

ეს ოჯახი ბოლოს სწორედ თეონა ქუმსიაშვილის დაკრძალვაზე ვნახე მუცოში – სასაფლაოდან დაბრუნებულმა ნიკომ და მარიამმა შუაში ჩაიყენეს შვილები და ფეხით გაუდგნენ არდოტამდე გაჭიმულ, დაახლოებით 7-კილომეტრიან, გზას. იქ მანქანა წელიწადში სულ რამდენჯერმე, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაივლის და ისიც – სპეციალურად ასული. ამიტომ შემეცოდნენ დაღლილი პატარები, რომლებსაც თავიანთი მოქანცული ფეხებით უნდა გაევლოთ ის გზა. რატომ ისჯებოდნენ ასე, რატომ იყო მათთვის უცხო ყველაფერი ის, რაც ასე ჩვეულებრივი და ხელმისაწვდომია ქალაქში მცხოვრები ნებისმიერი ბავშვისთვის? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მამას მისატოვებლად და დასაცლელად არ ემეტებოდა იქაურობა?

ამ ოჯახის ბარად ჩამოსვლის მიზეზიც იგივეა, რაც ათობით სხვა ხევსურული ოჯახისა – მთაში სკოლა არაა. აქამდე თაია და გიორგი საკუთარ სახლში მოწყობილ დაწყებით სკოლაში სწავლობდნენ, სადაც ყველა საგანს მამა ასწავლიდათ... მართალია, შატილში სკოლა-პანსიონი მოქმედებს, მაგრამ ის არდოტიდან საკმაოდ შორსაა და თანაც თავისი გასჭირვებია – არ ჰყავს ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ინგლისურის მასწავლებლები, მათემატიკისა კი სულ ახლახან მოიძიეს... ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ დიდი ფიქრის, განსჯისა და ბჭობის შემდეგ არდოტელებმაც ბარში ჩამოსვლა გადაწყვიტეს, თუმცა იქაურობაზე უზომოდ შეყვარებულთ რის ფასად დაუჯდათ ამ დასკვნამდე მისვლა, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

საუბედუროდ, ნიკო არდოტელის ოჯახი ერთადერთი არაა, ვინც სკოლის გამო მთიდან ბარში გადმოსახლდა. რამდენიმე წლის წინ ამავე მიზეზით ანდაქი უკანასკნელმა მცხოვრებმა დატოვა – ოთხი შვილისა და მოხუცი დედის ამარა დარჩენილმა ქვრივმა **შორენა ზვიადაურმა** (მისი მეუღლე და ძმა ზვავმა ჩაჩუმქრა, ცხედრები კი მხოლოდ მეორე წელს იპოვეს, როცა აგვისტოს პაპანაქებამ თოვლი დაადნო); სკოლასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა აიძულა მუცოელი **ზურაბ დაიაური**, თავისი შვიდი შვილით, ბარში წამოსულიყო, თუმცა აქ ბოლომდე ვერ გაძლო და ამ ზაფხულს ისევ დაბრუნდა უკან... სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

თავის მხრივ, პედაგოგთა კონტინგენტის ლამის ყოველწლიურმა პრობლემამ შატილის სკოლასაც დაატყო კვალი და შეამცირა მოსწავლეთა რაოდენობა – წლეულს იქ მხოლოდ 14 მოსწავლეა...

როგორც ვხედავთ, პირიქითა ხევსურეთში მიგრაციის მთავარი წამახალისებელი ფაქტორი სკოლის პრობლემაა – იქაურებს ვერც გავამტყუნებთ, შვილების სწავლა-განათლებაზე რომ ზრუნავენ და საამისოდ ყველა გზას იყენებენ, ქვეყნისთვის, და მათთვისაც, თუნდაც ყველაზე მტკივნეულს. აქ საკითხავი სხვა რამეა – განა სახელმწიფოს რა გაუჭირდა ისეთი, რომ ერთი სკოლა ვერ შეინახოს? ბუნებრივია, ჩინოვნიკები კანონს ააფრიალებენ, მაგრამ აქ ლაპარაკი იმაზეა, რომ მთის რეგიონებში, სადაც ასეთი მიგრაციაა, იქნებ სკოლები დოტაციური იყოს, თორემ ფაქტია – თბილისის და შატილის სკოლა ერთნაირ პირობებში არაა, ერთი და იმავე წესით რომ იცხოვრონ. ვფიქრობთ, აქ ქვეყნის უსაფრთხოების, მისი სტრატეგიულ-პოლიტიკური ინტერესებია უმთავრესი და ხელისუფლებამ სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს – ეს საზღვრისპირა რეგიონია, სადაც რუსეთის საზღვარი სოფლებიდან სულ რაღაც ორიოდ კილომეტრშია. ბოლო წლებში, შატილის მიდამოებში, რუსებმა უკვე რამდენჯერმე გადმოსწიეს საზღვარი და ქართული ნასოფლარები დაიკავეს. მახსენდება ერთ-ერთი სოფლის უკანასკნელი მცხოვრების – **მიხა არაბულის** სიტყვები, ჩრდილოელ მეზობელს თვალი უჭირავს ამ სოფლებზე, მაგრამ ვიდრე ჩვენ ვცოცხლობთ, მანამ აქ ვერ გადმოვლენ, როგორც კი ჩვენი ნაკვალევი აღარ იქნება, მაშინვე გადმოვლენო. მეზობელი ისეთი გვყავს, ნაკვალევის წაშლამდე ლოდინი კი არა, ასეულ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე გამოგვიყარა სახლებიდან და ლტოლვილებად გვიქცია. ამიტომ სჭირდება საზღვრისპირა რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება. ვფიქრობთ, იქ ერთი სკოლის დაფინანსება სახელმწიფოსთვის დაუძლეველი ხარჯი არ უნდა იყოს. ზემოაღნიშნული საავარიო ტრაგედიისას პოეტმა **ბალათერ არაბულმა** ბრძანა, ერთი შადრევნის ფული მთელი ხევსურეთის გზებს ეყოფოდაო და სავსებით სამართლიანად, სკოლას კი ამდენიც არ უნდა. რამდენიმე წლის წინ, რიგით ადამიანთა კეთილი სურვილით და მოწადინებით, შატილის სკოლაში ინტერნეტი შეიყვანეს, მაგრამ გადასახადის გადახდა ყოველწლიურად „ქრისტეს პერანგის კერვაა“ – ისევ იმ ხალხს უწევს ან ჯიბეების მოქექვა, ან მაღალჩინოსანთა შეწუხება და პრობლემას როგორღაც აგვარებენ, მაგრამ გადასახადის აჩრდილი „დამოკლეს მახვილივით“ მუდამ თავზე ადგას სკოლას. ამის მოგვარება ხომ შეიძლება ორგანიზებულად, დირექტორს და გულშემატკივრებს სადარდელი რომ არ ჰქონდეთ, ვაითუ ფული ვერ ვიშოვოთო... არადა, ზამთარში, თვეობით ჩაკეტილ მთელ პირიქითა ხევსურეთში ინტერნეტი გარემოსთან დაკავშირების ერთადერთი საშუალებაა – იქ არც მობილური ტელეფონი იჭერს, თუმცა „მაგთიმ“ უკვე დაიწყო ამ პრობლემის მოგვარება, ოღონდ არ ვიცით, მოესწრება თუ არა ეს წლეულს. სკოლის ინტერნეტით გარესამყაროსთან დასაკავშირებლად არათუ მოსწავლეები და მილმახეველები, არამედ იქ მდგარი სასაზღვრო ნაწილის ჯარისკაცებიც სარგებლობენ.



ნიკო არდოტელი თაიასთან ერთად. გოგა ჩანადირის ფოტო

ვფიქრობთ, სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია იქ ინტერნეტის, სკოლის შენარჩუნება. სამწუხაროდ, მთა ჩვენ თვალწინ იცლება, ხელის შემშლელი კი არავინაა. ესეც კომუნისტების დრო ხომ არაა, როცა ხევსურეთის და იქაურების ბედი მოსკოვში გადაწყდა? მაშინ მსგავს ამბებს ჩვენ არავინ გვეკითხებოდა, ისე მოჰხვიეს ხელი ხევსურებს და ბარში გადაასახლეს, მაგრამ ახლა ხომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის?!“, რატომ არ ვუშლით ხელს მიგრაციის დამღუპველი პროცესის შეჩერებას და რატომ არ ვამაგრებთ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარს?!

*ირაკლი თავაძე*



არდოტი. გოგა ჩანადირის ფოტო

საუბრები ლიტერატურაზე

# ლიტერატურული მეგზური



რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

## გურამ რჩეულიშვილი
## „ნელი ტანგო“

სიკვდილი გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ სამყაროში მოულოდნელად, უცაბედად იჭრება. ის სიცოცხლის შიგნითაა შეფარული და დროს უცდის, რომ თავი გაამჟღავნოს. მას სავსებით ამქვეყნიური და პროზაული იერი აქვს. მწერალი სიკვდილს ხატავს ყოველგვარი აფექტაციის და პათეტიკის გარეშე, ისე, რომ არსებითად არ ცვლის ჩვეულებრივ ტონალობას, არ ამძაფრებს ემოციურობას, მაღლა არ წევს ინტონაციას. მისთვის დამახასიათებელია ჯანსაღი, იდილიურად აუმღვრეველი განწყობის შეხამება დრამატულთან თუ ტრაგიკულთან. ასეთი შეხამება ორივე საწყისს ამკვეთრებს.

„ნელ ტანგოში“ არაფერი მოასწავებს იმ უბედურებას, რომელიც სულ მალე უნდა მოხდეს; თავიდან მოთხრობაში მშვიდი, უღრუბლო ატმოსფეროა, იგი თითქოს არც ირღვევა, ისე შემოიპარება სიკვდილი. პლასტიკურად, დანაკვთულად არის წარმოსახული სიკვდილთან ადამიანის ბრძოლის დინამიური სურათი. საერთოდ, გურამ რჩეულიშვილს განსაკუთრებით ეხერხება ფიზიკური მოძრაობის, სხეულებრივი ანდა მთლიანი სხეულებრივ-სულიერი მდგომარეობების გამოსახვა.

სიკვდილი „ნელ ტანგოში“ ამჟღავნებს პიროვნების სულიერ სიძლიერეს, იმას, რომ იგი შიშის და ეგოიზმისგან თავისუფალი კაცია. ოღონდ მწერალი ჰეროიკულად ამაღლებულ სახეს არ ხატავს, არავითარ აქცენტს არ აკეთებს იმაზე, რომ პერსონაჟი განსაკუთრებული ადამიანია; პირიქით, ის სავსებით უბრალოდ, მიწიერად გამოიყურება და მაინც მისი სულის სიუხვე ცხადად იგრძნობა, მით უფრო ინერტულ და უვნებო ადამიანურ გარემოსთან კონტრასტში (კარტის მოთამაშეები...).

მოთხრობის ფინალში პრობლემატურია, იქცევა თუ არა მომხდარი ამბავი ზნეობრივ გაკვეთილად ახალგაზრდა კაცისთვის, რჩება თუ არა სულიერი მემკვიდრე დაღუპულ გმირს...

## გურამ გეგეშიძე
## „შურისძიება“

გურამ გეგეშიძის მოთხრობაში ყველაზე საინტერესო და არსებითია მთავარი პერსონაჟის რთული, წინააღმდეგობრივი, არაერთნიშნა სულიერი სამყარო, გრძნობები და ემოციები.

რეზიკოს უყვარს და ებრალება თავისი ძმა, მაგრამ ამავე დროს აღიზიანებს მისი უმწეობა, რომელიც დაანახებს, რომ არსებითად თვითონაც დაუცველია ცხოვრების სიმკაცრის წინაშე, მტკივნეულად შეახსენებს, რომ ცხოვრების პირისპირ თვითონაც მუდამ მკაცრი უნდა იყოს.

მთავარი პერსონაჟის ემოციებში და ქცევაში ვლინდება ადამიანის ფსიქიკის უცნაურობა, პარადოქსულობა, ფსიქიკური ფაქტების გაორებული, ორჭოფული ხასიათი (ამბივალენტურობა) – ადამიანი შეიძლება სასტიკი იყოს იმის მიმართ, ვინც ებრალება, შეიძლება სწორედ მისი სისუსტე და საცოდაობა აღუძრავდეს რისხვას... ადამიანის სულში ბევრი რამ არის გაუცნობიერებელი, მისთვისვე შეუცნობელი და დაფარული: რეზიკო ვერ აცნობიერებს, რომ ძმის მიმართ მისი აგრესია ცხოვრების უსამართლობის და საკუთარი უსიხარულო ხვედრის გამო გამწარების ამონთხევაა, ისევე როგორც ომარას მიმართ აგრესია. თუმცა ომარასადმი რეზიკოს შურისძიების გრძნობის მკვებავი მთავარი და ასევე გაუცნობიერებელი იმპულსი მაინც ძმისადმი დანაშაულის გრძნობაა, რომლის თავიდან მოცილებაც სურს.

შურისძიება დანაშაულის გრძნობისგან ვერ ათავისუფლებს რეზიკოს და ეს ინტუიტურად მიახვედრებს, რომ ადამიანისთვის მთავარია თვითონ არ ჩაიდინოს ბოროტება; რომ იგი უსაშველოდ უბედურია არა მაშინ,როცა ცხოვრების უსამართლობის მსხვერპლია, არამედ მაშინ, როცა ბოროტება თვით მასში მკვიდრდება.

## რეზო ჭეიშვილი
## „ავთანდილი“

რეზო ჭეიშვილის მიერ დახატული სადა სურათი ქვეტექსტური ფსიქოლოგიზმით ავლენს ადამიანთა სულიერი და მორალური ყოფის მნიშვნელოვან ასპექტებს. მთხრობელი, რომელსაც ავთანდილის მიმართ ბრაზი ძალას აძლევს და რომელიც თითქოს ავთანდილივით უსულგულო ხდება, უნებურად საკუთარ სახეს დაანახებს თავის პატარა ტირანად ქცეულ ნათესავს, უჩვენებს, როგორ უსიმპათიოდ გამოიყურება სხვების თვალში. ავთანდილს აშინებს გარემომცველთა სიძულვილი, ზიზღი, მათ მიერ მოკვეთა, გარიყვა და მარტო დარჩენა, ეს კი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ადამიანური შიშია.

საგულისხმოა, რომ „ავთანდილშიც“ და „ბიძიაშიც“ ახლობლური ურთიერთდახმარების თემაა გააზრებული, ოღონდ სხვადასხვაგვარად – „ბიძიაში“ სხვების დახმარების ხარჯზე ცხოვრება, ახლობლების ხელშეწყობით ფონს გასვლა სარკასტულად გამოისახება როგორც მანკიერი მოვლენა, პარაზიტიზმი, „ჩალიჩი“ (ახლობლების იმედად ყოფნის შესახებ კრიტიკულად მსჯელობს ფილიპე გოგიჩაიშვილიც სტატიაში „ჩვენ და ცხოვრება“). ხოლო „ავთანდილში“ ახლობლის, მოყვასის დახმარება, როცა იგი ნამდვილად საჭიროებს შველას, წარმოჩნდება როგორც უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ღირებულება.

ავთანდილის სახე დაგვაფიქრებს მეტად აქტუალურ და ძნელ პრობლემაზე. თანამედროვე თავისუფალი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია ინდივიდუალიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველი ადამიანი თავის ცხოვრებას თვითონ, დამოუკიდებლად უნდა უძღვებოდეს, სრულყოფილ ინდივიდუალურ თვითრეალიზაციას უნდა ცდილობდეს და სხვათა დახმარების შემყურე არ უნდა იყოს. ამგვარი ინდივიდუალიზმის დამკვიდრების გარეშე ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება. მაგრამ ამასთანავე აუცილებელია შევინარჩუნოთ ადამიანური ურთიერთთანაზიარობის, ურთიერთთანადგომის ჰუმანური ტრადიციაც.

## ჯემალ ქარჩხაძე
## „მარიანა“

„მარიანას“ – ბავშვობის დასრულების, ბავშვური ილუზიების მსხვრევის და ცხოვრების სიმკაცრესთან პირველი მტკივნეული შეხების ისტორიას ორიგინალურობას ანიჭებს მთავარი პერსონაჟების სახეთა მკვეთრად თავისებური გააზრება.

მარიანას სულიერი სიფაქიზე, წარმოსახვის და ოცნების ნიჭი, მისი რომანტიზმი, სწრაფვა უსახური ცხოვრებისგან თავდაღწევისკენ სიყალბის, „თეატრალურობის“ საფრთხეს შეიცავს. ეს ვლინდება იმაში, რომ იგი თავის ნამდვილ სახელს – გუცას მალავს და მარიანად აცხადებს თავს; ეს ვლინდება იმაშიც, რომ მისი ახლადგაღვიძებული ლტოლვა სიყვარულისკენ რომანტიკულ ბურუსშია გახვეული, ზღაპრულ-ფანტასტიკურ ხილვებშია ჩაძირული, მწიგნობრულია და აშკარად აკლია უშუალობა, ბუნებრიობა; მარიანას იზიდავს ლევან ქართველიშვილის და დიანას გარეგნული და ყალბი დახვეწილობა, ყალბი არისტოკრატიზმი და ეს აქცევს ქართველიშვილის მსხვერპლად. ამიტომ ავტორი თუმცა თანაუგრძნობს თავის რომანტიკოს გმირს, მაგრამ მსუბუქი ირონიითაც ეკიდება მას.

ლევან ქართველიშვილის თავდაჯერებული, საკუთარი პერსონის მნიშვნელოვნების დემონსტრირებისთვის გამიზნული ქცევის და მეტყველების მანერა მოწმობს, რომ იგი აღზევებულთა და პრივილეგირებულთა წრეს ეკუთვნის. ქართველიშვილი დახელოვნებული, გაწაფული ნიღბოსანია, „არტისტია“. ის თამაშობს ცოლთანაც, მასთანაც არაგულწრფელი ურთიერთობა აქვს; მარიანასადმი ყურადღების გამოჩენით ცოტათი აეჭვიანებს, აღიზიანებს დიანას, თავს იმკვიდრებს მის წინაშე; თავის მოჩვენებით არაორდინარულობას, ხედვის და გემოვნების მოჩვენებით სინატიფეს წარმოაჩენს, როგორც ეს მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებს ხშირად ჩვევიათ.

## არჩილ სულაკაური
## „ზევით და ქვევით“

მოთხრობაში წარმოსახული ბავშვური სიყვარული – მტრობა თანდათან ორი ადამიანის სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება, რომელიც ამასთანავე ადრინდელ დაძაბულობას, ბრძოლის ხასიათს ინარჩუნებს. ეს ურთიერთობა ახალგაზრდა კაცის თვითმყოფად პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს წარმართავს.

გოგის სურს იყოს „ნორმალური“, ისეთი, როგორიც ყველაა, რისი გამოხატულებაცაა მისი „ზღარბობის“ კომპლექსი, რომელსაც ლია თავისი ბავშვური დაუნდობლობით უმძაფრებს და ამ კომპლექსისგან გათავისუფლებისკენ მტკივნეული ლტოლვა. მოგვიანებით ლიასთან ურთიერთობა ბიძგს აძლევს მას, ესწრაფოდეს არა სტანდარტულობას, არამედ ინდივიდუალიზებას, საკუთარი პიროვნული სახის მოპოვებას.

ლიასგან მიღებული სტიმულის წყალობით გოგი მართლაც იზრდება, მაგრამ ეს პროფესიული, სოციალური წარმატებაა და ნაკლებად – სულიერ-პიროვნული განვითარება – ამგვარი დისონანსი თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვანი პრობლემაა. სოციალური წარმატება და აღიარება გოგის ლიასთან მიიყვანს როგორც მის მიმართ უპირატესობის მქონე დამპყრობს; ლია გოგისთვის საშუალებაა – თვითდამკვიდრების, საკუთარი ძლიერებით ტკბობის, ჟინის მოკვლის. წითელქუდას როლის გათამაშებით ლია დაანახებს მას, რომ იგი ამგვარი ეგოიზმისგან უნდა გათავისუფლდეს, რომ მისი სიყვარული სუფთა და წრფელი, უანგარო უნდა გახდეს - ლია კვლავ სულიერი ზრდის სტიმულით მუხტავს გოგის.

## გურამ დოჩანაშვილი
## „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

სიტყვა „ლიტერატურა“ მოთხრობის სათაურში შეიძლება ჩავანაცვლოთ სიტყვით „თავისუფლება“, რამდენადაც ნაწარმოებში ლიტერატურა გააზრებულია როგორც ძალა, რომელიც ადამიანს თავისუფლების ჩამხშობი სოციალური გარემოს ზეწოლისგან იცავს და შინაგან თავისუფლებას, ავტონომიას ანიჭებს.

ლიტერატურა მოთხრობაში შეპირისპირებულია სოციოლოგიასთან, რომელიც გაშარჟებულია – არა იმიტომ, რომ ეს სერიოზული მეცნიერება თავისთავად ამას იმსახურებს, არამედ იმის გამო, რომ იგი აქ არსებითად საბჭოთა რეჟიმის იარაღად და საბჭოთა იდეოლოგიის გამოხატულებად არის წარმოდგენილი; ის საზოგადოების კონტროლის და მართვის საშუალებაა; ტოტალიტარული იდეოლოგიისთვის ინდივიდუუმი, პიროვნება არ არსებობს, მისთვის ადამიანი უბრალოდ სტატისტიკური ერთეულია, დიდი მანქანის სტანდარტული ჭანჭიკია; ადამიანის თავისუფლების ერთადერთი ასე თუ ისე გადარჩენილი სფერო – ეგრეთწოდებული თავისუფალი დრო ანუ პირადი ცხოვრებაც კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს და ლიტერატურას ამაში გარკვეული ფუნქცია ეკისრება.

ნაწარმოებში ლიტერატურის მოყვარულები ამ სქემას არღვევენ – ადამიანს ლიტერატურის წყალობით შეუძლია შეიქმნას ვრცელი და მდიდარი, ინტენსიური და მრავალსახოვანი სიცოცხლით სავსე შინაგანი სამყარო, საკუთარი სულიერი კოსმოსი, სადაც იგი თავის თავისუფლებას შეაფარებს. აქ ეს თავისუფლება შეუვალი ხდება, რადგან შეუვალია ფიქრი, წარმოსახვა, შეუვალია პიროვნების მიერ გაშინაგანებული კულტურა, კულტურული ფასეულობები. ლიტერატურის სიყვარული მოთხრობაში პიროვნული საწყისის, პიროვნული თავისუფლების ძალის და სიმკვიდრის სიმბოლურ-მეტაფორული განსახიერებაა. „კარცერი-ლუქსის“ პროექტიც კომიკურ-უტოპიური ფორმით კულტურის მეოხებით სრულფასოვანი, თვითმყოფადი და თავისუფალი პიროვნების აღზრდის იდეას გამოხატავს.

მოთხრობაში პიროვნების დამკვიდრება სულის, კულტურის ინდივიდუალიზებულ სამყაროში არ წარმოდგება ცხოვრებისგან გაქცევად. ვასიკო კეჟერაძე და კლიმი „სპილოს ძვლის კოშკის“ ბინადრები არ არიან. ლიტერატურა მათთვის ცხოვრების დავიწყების საშუალება არ არის, პირიქით, სწორედ ცხოვრების ღრმად და მართლად ხედვაა, ცხოვრების და ადამიანების ბუნების გზამკვლევია (მაგალითად, თუ ადამიანს რომელიმე ლიტერატურულ პერსონაჟს შეუცდომლად მიამსგავსებ, მისი არსი უკვე გამჭვირვალეა). ლიტერატურა, კულტურა – სინამდვილის ჭეშმარიტი და კრიტიკული ხედვა – პიროვნებას ამ სინამდვილეს კი არ წყვეტს, არამედ მასზე მაღლა აყენებს, მისი ბრმა მორჩილებისგან ათავისუფლებს; ლიტერატურის, კულტურის წყალობით სინამდვილე კი არ ფლობს ადამიანს, არამედ ადამიანის სული, გონი ეუფლება და მსჭვალავს სინამდვილეს; ლიტერატურასთან ერთად პიროვნება თავისუფლად აგებს, ქმნის რეალობის ჭეშმარიტ სახეს, ანუ ლიტერატურულ შემოქმედებასთან ზიარებით თვითონაც შემოქმედი ხდება. ამის გამოხატულებაა ენისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებაც, ენობრივი თამაშიც, რომელიც

*დასასრული მე-6 გვერდზე*



## ლიტერატურული მეგზური

მე-5 გვერდიდან

უპირისპირდება და ძლევს საბჭოთა ბიუროკრატიის და პროპაგანდის გამოფიტულ, მკვდარ ენას, სასაცილო, აბსურდულ დემაგოგიას.

პიროვნების თავისუფლების, სულიერი ავტონომიის დამამკვიდრებელია ინტელექტუალური იუმორიც – ლიტერატურის, კულტურის ნატიფი და მჭრელი იარაღი. მდარე რეალობის კომიკურ-კრიტიკული ხედვა ამ რეალობის უვნებელყოფაა, მისი დამთრგუნველობისგან თავდახსნაა.

ყოველივე ეს კონცენტრირებულია კეჟერაძის და ხელმძღვანელის შეჯახებაში. არსებითად ხელმძღვანელის სახით მოთხრობის მთავარ გმირს ეცხადება სიტყვა „გავძეხის“ მსგავსი თავისი რაყიფი – მეშჩანური უსულობის და თვითკმაყოფილების, მატერიალისტური და ვულგარული სოციალური სინამდვილის ხორცშესხმა. უსულობა, უკულტურობა მარცხდება იმდენად, რამდენადაც ლიტერატურის თვალთახედვით მთლიანად „გაშიფრული“ და გამასხრებულია.

### ნოდარ წულეისკირი „დავით ალმაშენებლის ქვა“

ნოდარ წულეისკირი საკმაოდ რთულ მხატვრულ ამოცანას ძლევს – პოზიტიური ფასეულობებით აღჭურვილი და ამ ფასეულობების ცხოვრებაში აქტიურად დამნერგავი პიროვნების რეალისტური სახის შექმნის ამოცანას. რეალისტურ პროზაში ამგვარი პერსონაჟის წარმოსახვას პათეტიკის მოძალების და პლაკატურობის საფრთხე ახლავს და მოთხრობის ავტორი ახერხებს, ეს საფრთხე აირიდოს.

„დავით ალმაშენებლის ქვის“ იდეალისტი გმირი სავსებით მიწიერი და ბუნებრივი იერით წარმოჩნდება, რაც მიღწეულია უპირველესად იმით, რომ იგი ზუსტად აღბეჭდილი ყოველდღიური ყოფის, ყოფითი ცხოვრების განზომილებაში იხატება.

მოთხრობის მთავარ გმირს განსაკუთრებით ის ამიწიერებს, რომ მისი ფიგურა იკვეთება მასთან დაპირისპირებული ადამიანების, საზოგადოების თვალთახედვითაც. ამ წვრილმანი მატერიალისტური ინტერესებით შეპყრობილ, კონფორმისტულ საზოგადოებას არ შეუძლია სხვანაირად აღიქვას და შეაფასოს პანტე ჯაავა, თუ არა როგორც უხიაგი, ახირებული და მისთვის „ნორმალურ“ ცხოვრებაში ხელის შემშლელი, მავნე ადამიანი. იგი ყველას მიერ აღიარებულ, საყოველთაოდ დამკვიდრებულ თამაშის წესებს არღვევს, რომლებიც ადამიანებს არსებობას უიოლებს და მათთვის მართლა გაუგებარია, რატომ არ ეთანხმება ამ წესებს ეს „ინტრიგანი“ კაცი...

პანტე ჯაავას სახეს ცხოვრებისეულ, რეალისტურ სიმართლეს მწერალი იუმორის მეშვეობითაც სძენს. თავისი გმირის არასტანდარტულობას ის კეთილმოსურნე იუმორითაც უყურებს და ამ პერსონაჟის ერთგულებას საკუთარი პრინციპებისადმი სადა, დემოკრატიულ ელფერს აძლევს.

თუ გურამ დოჩანაშვილი მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ იდეალისტი გმირის უცნაურობას მაქსიმალურად ამძაფრებს როგორც მისი რომანტიკული განსაკუთრებულობის ნიშანს, ნოდარ წულეისკირი იდეალისტი პერსონაჟის უცნაურობის რეალისტურ „გაუბრალოებას“, „გაჩვეულებრივებას“ ესწრაფვის.

საუბრები ლიტერატურაზე

# ბოლშევიზმის ქვესკნელური ძალა– გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“



„მეჩვენა, თითქოს ხრიოკ ზეგანზე შეფენილიყვნენ ბლომად ქვისმთლელნი და ჩემს დარდს დინჯად აქუცმაცებდნენ“ (ბესიკ ხარანაული). სწორედ ქვისმთლელის სიზუსტითა და სიჯიუტით აქანდაკებს გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის საქართველოსა და, ზოგადად, საბჭოეთის სურათს რომანში „ჩაკლული სული“. დინჯად, მოზომილად, დაუნდობლად სწეწს და აქუცმაცებს მწერალი იმ ეპოქის უკულმართულ და ტრაგიკულ ყოფას, რომელმაც მოიტანა განღმრთობა, ადამიანური და ღვთაებრივი მორალის გაქრობა, უზნეობა, სისასტიკე და ცივსისხლიანობა; ავტორი გვიყვება, როგორ გახდა თავისუფალი ადამიანი ულმერთო ათეისტი, კომუნიზმის მონა, პროლეტარიატის ტყვე და სოციალიზმის მეხოტბე; როგორ გაჩნდა მის სულსა და გონებაში ბზარი, გაიხლიჩა პიროვნება და დაიქსაქსა საზოგადოება; როგორ გადაიქცა მეზობელი მტრად, მოკეთე – მოშურნედ, მეგობარი – მოძალადედ, კეთილისმსურველი – ჯაშუშად და დამსმენად. სატანა ებრძვის კაცობრიობას გაჩენის დღიდან, მაგრამ ნაწარმოებში აღწერილი რეალური, ხორცშესხმული სატანა, ბელადის ნიღაბს ამოფარებული, ებრძვის არა მხოლოდ ღმერთს, ყოველივე ღვთაებრივს ადამიანში, არამედ თავად ადამიანობას, სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე.

რომანში ზედმიწევნითი სიზუსტითაა ასახული სტალინისა და ლენინის ეპოქის კრიზისი, მათი პორტრეტები (ისინი არ არიან რომანის პერსონაჟები, მაგრამ სტალინის სახე ნაწარმოებში მეტ როლს ასრულებს, ვიდრე ყველა დანარჩენი პერსონაჟი ერთად აღებული), ამის გამო რომანი უფრო დოკუმენტურ პროზად აღიქმება, ვიდრე მხატვრულად, თუმცა რობაქიძის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. ნაწარმოების მთავარი, მამოძრავებელი ღერძი ათეიზმისაგან დაგლეჯილი უფლის ძიებაა და შეძახილი: სადა ხარ, ღმერთო? – წითელ ფონზე თეთრი ასოებით დაწერილ ერთადერთ იმედად აღიქმება. ქრისტიანული მრწამსი ავტორისთვის შეურყეველია, რადგან ქრისტიანულმა პიროვნების თავისუფლების ქადაგებამ შეცვალა კაცობრიობა უკეთესისაკენ. ადამს უნდოდა, ღმერთი გამხდარიყო და შეცდა, სამაგიეროდ, ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამი ღმერთად აქციოს „განკაცდა ღმერთი, რათა განაღმრთოს ადამ“ (ბ. პასტერნაკი). სტალინის ფილოსოფია და კომუნისტური ათეიზმი კი კაცობრიობის ამ მონაპოვარს თავდაყირა აყენებს, რადგან მიაჩნია, ადამიანი ბრბოა და მხოლოდ ბელადის ხელში იქცევა იგი გარკვეული ფუნქციის მქონე არსებად, ისიც მხოლოდ მანამდე აგრძელებს სიცოცხლეს, სანამ ამას ბელადი ისურვებს. ადამიანთა სიცოცხლესა და სიკვდილს უკვე არა უფალი, არამედ ბელადი განაგებს (პირველყოფილი წყობილებისკენ დაბრუნება) – ამაზე მეტი დაცინვა კაცობრიობისა წარმოუდგენელია! “მიზანი კაცობრიობისა და ყოველი ერისა არის მარტოოდენ ღმერთის ძიება. ღმერთი ხალხის სხეულია.



ახლა კი ხალხი არათუ თავის ღმერთს ეძებს, არამედ საერთოდ კლავს მას და არ ესმის, რომ ამ მკვლელობით საკუთარ თავს ილადრავს“ (გ. რობაქიძე, „ჩაკლული სული“). პროლეტარიატის ბელადებს დაავიწყდათ ერთი ჭეშმარიტება, რომ ადამიანში მთვლემარე მხეცის დაოკება მუქარას და სისასტიკეს არ ძალუძს, ეს რომ ასე ყოფილიყო, „მაშინ კაცობრიობის უზენაესი ემბლემა იქნებოდა შოლტით აღჭურვილი ცირკის მომთვინიერებელი და არა მსხვერპლად თავგადადებული მოქადაგე“ (ბ. პასტერნაკი).

რომანის მთავარი გმირის, თამაზ ენგურის სიცოცხლე ღმერთის ძიებაში მიედინება, ხანდახან მას ეჩვენება, რომ ღმერთმა მიატოვა, დაივიწყა, არადა თავად ავიწყდება, რომ ღმერთი ყველგანაა, სადაც გულია ღია და მზად არის მსხვერპლისთვის (მსხვერპლი კი ლოცვაა გულიდან ამოსული). გამეფებულმა შიშმა და ტერორმა მასაც დაუბნელა სული და მწერალთა ყრილობაზე იგი მოჯადოებულივით იმეორებს იმ სიტყვებსა და ფრაზებს – სისხლის გამოშვება, რევოლუციის მონაპოვარი, პროლეტარიატის როლი – რომლებითაც დემონური ძალა სულდგმულობს, თავადაც გადაეშვება იმ უფსკრულში, მასების თაყვანისცემა რომ ჰქვია. მის სულშიც იწყება გაორება, აღარ იცის, ვის ემსახურება: ხალხს თუ სატანას; „მკვდარი სიტყვების მტვერმა სული დაგიბნელა, მოყვასო ჩემო, განიბანე მდუმარების წმინდა ნაკადულით“ (რ. თაგორი). დგება თამაზის სიცოცხლეში სინანულის დრო, დროა, სინანულით განიბანოს, გამოისყიდოს დანაშაული, თუმცა მისი მეგობრის, ივანოვის აზრით, ამგვარი ცხოვრებაც ჯვარცმაა ერთგვარი: „როცა ადამიანი ბოლომდე გააშიშვლებს თავს, სულ მთლად ულმერთო გახდება, მაშინ უნდა წარმოიშვას მასში დიდი მწუხარება დაკარგული ღმერთის გამო.“ თავად ივანოვი გარიდებასა და განზე დგომას ისევ კაცისმკვლელებთან ყოფნას ამჯობინებს, მალულად ჯვარსაც ატარებს, საკუთარ ჯვარცმას უყურებს თითქოს ყოველდღე და ელოდება იმ წუთს, როცა ადამიანები დაიწყებენ წუხილს დაკარგული ღმერთის გამო.

სად არის ხსნა? „ყველა გულს რომ შეეძლოს სხვების შესახვედრად გაღება ბოლომდე, მთლიანად, მაშინ ალბათ გამრთელდებოდა დანაკუწებული ღმერთი.“ მაგრამ ამის გაფიქრებაზეც კი კანკალებს მწერალი ენგური (ისევ და ისევ გამეფებული შიში და ტერორი, ისევ სტალინის აჩრდილი), რობაქიძე ძალზე შთამბეჭდავ მეტაფორას (შედარება და მეტაფორა აქ იდეალურადაა გადაჯაჭვული ერთმანეთზე) იყენებს ამ შიშზე საუბრისას – „თითქოს კამეჩმა ანკარა წყაროში ჩააბიჯაო – გული სამალავში ძვრებოდა“. ასე ამღვრევდა და ბილწავდა ადამიანთა სულის ანკარა წყაროს ბოლშევიზმი, ყველა ხერხითა და მეთოდით ცდილობდა, შეეღწია ადამიანთა გულებში და გულიც, „ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი“, შიშისაგან ფართხალებდა, იმალებოდა, იგლიჯებოდა.

თამაზ ენგურს აპატიმრებენ დოსტოევსკის წინასწარმეტყველური წიგნის „ეშმაკები“ (დოსტოევსკი მიხვდა, რომ ძალადობაზე დამყარებული წყობა მალე დაემხობოდა) არშიაზე გაკეთებული მინაწერების გამო, ციხეში იგი სიკვდილს ჩახედავს თვალებში და ხვდება, რომ სული აქვს დაცარიელებული, აცნობიერებს, რომ შეცდა, რომ თავად დაშორდა ღმერთს, რომ ღმერთი შენშია, მხოლოდ უნდა შეიგრძნო იგი, უნდა ემზადო ამისათვის. და იწყება მის სულში ტკივილი, სინანული დაკარგულის გამო. დოსტოევსკის რომანის პერსონაჟი ქალი ამბობს: მიწა უნდა დაალბო შენი ცრემლებით და ყველაფერი გეპატიება, თამაზიც მიდის ქალაქიდან, მიწაზე დაემხობა, მისი ცრემლები ცივ ლოდებს ეწვეთება და იგი ლოცულობს: „შენ, ქრისტეს სისხლო, დაჭრილი ნეკნებიდან გადმოღვრილო, შენს ერთ წვეთს მაზიარე, მხოლოდ ერთ წვეთს, რათა განვახლდე, გავნათლდე, ვითარცა ბავშვი.“ ამაზე მეტი რელიგიური ექსტაზი მხატვრულ ნაწარმოებში წარმოუდგენელია და მისი ლოცვა შესმენილია, იგი აღმოაჩენს თავის თავში ღმერთს და ამარცხებს სატანას. მხოლოდ ზემოთ აღნიშნული რამდენიმე პასაჟის მიხედვითაც (რომ აღარაფერი ვთქვათ თამაზისა და ნატას ურთიერთობის აღწერის დროს მიღწეულ საოცარ პოეტურ სიმაღლეებზე) ნათელია, რომ გრიგოლ რობაქიძე სიტყვის შეუდარებელი ოსტატია. მისი კალამი აღწევს მკითხველის გულამდე და საცნაური ხდება ის ერთობა გულებისა, რომელსაც მწერალი ასე ესათუთება: „როცა გული სხვა ადამიანის გულს ეხება, შიშნარევი სიხარული გეუფლება, თითქოს ღმერთი ისევ მრთელდება.“ საოცარია გულის, სხეულის ერთ-ერთი კუნთის ასე ხელშესახებად, შთამბეჭდავად დაკავშირება უფალთან, იშვიათია გრძნობის, განცდის გადმოცემა სიტყვებით ასე ზუსტად. ბედნიერია ერი, რომელმაც ასეთი მწერალი წარმოშვა და ბედნიერია თავად მწერალი, რადგან მან არ უღალატა საკუთარ თავს, მრწამსს და მიუხედავად დიდი ზეწოლისა (თავად ემიგრირებული იყო გერმანიაში, ხოლო მისი შემოქმედება – აკრძალული საბჭოეთში) შეძლო „ერთი ღმერთის კარავში გადაჩრდილება ამ უდაბნოში“ (კ. გამსახურდია).



*ქეთი ქათამაძე*
*144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი*

წერილში გამოყენებულია ციტატები ბორის პასტერნაკის, რაბინდრანათ თაგორის, კონსტანტინე გამსახურდიას, ბესიკ ხარანაულის შემოქმედებიდან, ასევე სალვადორ დალის ნახატები.

# კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპული სტანდარტისაკენ

## პროფესიული განათლების ახალი მოდელი



მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა პროფესიული განათლების შესახებ მოქმედ კანონში იმ მიზნით, რომ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტს. დარგის ამ გზით განვითარება კი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას.

5 ოქტომბერს, „ქორთიარდ მერიოტში“, გაიმართა კონფერენცია პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის საკითხებზე. ორგანიზატორები იყვნენ: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. კონფერენციას საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და საქართველოს პროფესიული კავშირების წარმომადგენლები და პროფესიული კოლეჯების დირექტორები ესწრებოდნენ.

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს იმ საკითხებზე, რომლებიც რეფორმის წარმატებით განხორციელებას უკავშირდება და რასაც კანონში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს. აგრეთვე, საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებაზე, პროფესიული სწავლებისა და გადამზადების თვისობრივად ახალი სისტემის ჩამოყალიბებაზე, საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივებზე და საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე რეფორმის პროცესში.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ელჩმა **პერ ეკლუნდმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა: *„ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მთავრობის ხელშეწყობას პროფესიული განათლების შესახებ 2009-2012 წლის სტრატეგიის შესრულების საკითხში. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ეს საკითხი არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საერთო ინტერესის სფეროს განეკუთვნება, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ ქართველი მუშა-ხელის მომზადებაზე ყველა სექტორისათვის. მინდა მადლობა გადავუხადო გაეროს განვითარების პროგრამას, რომელმაც კარგი სტრატეგია შეიმუშავა, საქართველოს მთავრობასთან ერთად, შიდა ქართლის რეგიონში. ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დარგის განვითარების საკვანძო საკითხებზე შეთანხმება, ამისათვის მილიონობით ევროს ვხარჯავთ და იმედი მაქვს, რომ დღევანდელი დისკუსიაც წარმატებული იქნება და რეფორმის საბოლოო შედეგიც“.*

გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში **ჯეიმი მაკგოლდრიკმა** აღნიშნა, რომ პროფესიული სწავლებისა და გადამზადების განვითარება ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევასა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. *„ახალი მოდელი, რომელიც საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საფუძველზე შეიქმნა, ბევრად უფრო იმედის მომცემია. აქ ბევრი საკითხი იყრის თავს. ჩვენი პროგრამა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ახალი, თანამედროვე კოლეჯების გახსნას და ადგილობრივ შრომის ბაზარზე მორგებული სასწავლო პროგრამის დანერგვას“*, – დასძინა პროგრამის ხელმძღვანელმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა: *„ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე განუზომლად დიდია ადამიანური რესურსების განვითარებისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა. ეკონომიკის მზარდი გლობალიზაცია, ახალი ტექნოლოგიებისა და პროფესიული ცოდნის ათვისების საჭიროება დიდ გავლენას ახდენს შრომის სამყაროზე. სწრაფად იცვლება მოთხოვნები სამუშაო ძალის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მიმართ. შრომის ბაზრის მობილურობის ზრდა და ადამიანის შესაძლებლობების განვითარება-გამოყენების აუცილებლობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს როგორც პროფესიული მომზადების სისტემას, ისე პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სისტემასაც. ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტური პროფესიული განათლების სისტემის არსებობა. განათლების ამ სექტორის განვითარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.*

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიას (პროფესიული განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია 2009-2012 წლებისათვის). ასევე 2010 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა რიგი ცვლილებები ,,პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში”, რომლებიც დააჩქარებს სისტემის რეფორმირების პროცესს. ცვლილებების ძირითადი მიზნებია: ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის; ბ) პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიან ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან; გ) პიროვნების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა; დ) ადამიანების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.*

*სექტორის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: **სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სოციალური პარტნიორობა, თანამონაწილეობა და გამჭვირვალობა , ევროპულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობა, რეგიონალური მიდგომა, პროგრამული მრავალფეროვნება, ხარისხი** და **ხელმისაწვდომობა.***

*მნიშვნელოვანია, რომ ამოქმედდება პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა, რომელიც მოიცავს: პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს (2010); პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხას, პროფესიულ სტანდარტებს, კრედიტებში გაანგარიშებულ პროგრამებს.*

*ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ხელშესაწყობად იგეგმება თანამედროვე სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება; პედაგოგების ტრენინგები საგნობრივ და პედაგოგიურ უნარებში; ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვა; გარე შეფასების (ავტორიზაცია, აკრედიტაცია) მექანიზმების დანერგვა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების ამოქმედება ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას.*

*პროფესიული განათლების სისტემის მართვის გასაუმჯობესებლად ფუნქციონირება დაიწყო პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ, რომელიც აერთიანებს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს; 2011 წელს პროფესიულ სასწავლებლებში ჩამოყალიბდება სამეთვალყურეო საბჭოები და დაინერგება პროფესიული განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.*

*კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, საქართველო აღიარებს პროფესიული კვალიფიკაციების 5 საფეხურიან სისტემას, რომელიც თავსებადია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. პროფესიული სწავლების ცენტრები გადაფუძდნენ პროფესიულ კოლეჯებად და განახორციელებენ პირველი 3 საფეხურის პროგრამებს. კანონი ასევე ითვალისწინებს საზოგადოებრივი კოლეჯების ჩამოყალიბებას, რომლებიც განახორციელებენ ხუთივე საფეხურის პროგრამებს და ასევე, ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამებს, მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთანავე, ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.*

*ამ ეტაპზე სახელმწიფო აგრძელებს პროფესიული კოლეჯების ფიზიკურ რეაბილიტაციასა და აღჭურვას, ასევე საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაციას. მიმდინარეობს კოლეჯების ინფრასტრუქტურის ადაპტაცია მოძრაობით უნარშეზღუდული ადამიანებისათვის. პროფესიული მომზადების პროგრამები ხორციელდება სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ჯგუფებისათვის: პატიმრებისთვის, მზრუნველობას მოკლებული მოზარდებისთვის და ა.შ.*

*პროფესიული განათლებისა და მომზადების ახალი სისტემის არსებობის პირობებში საგრძნობლად გაიზრდება პროფესიული სასწავლებლების დამოუკიდებლობის ხარისხი, გაფართოვდება მათი ფუნქციები, გაიზრდება უმაღლესი განათლებისა და მომზადების დაწესებულებების როლი პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიან სისტემაში, განმტკიცდება ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდისაკენ“.*

გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, **ინიტა პაულოვიჩმა**, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა პროფესიული განათლების როლზე საერთოდ და კერძოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. თავად წარმოშობით ლატვიელმა კარგად იცის რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდისთვის, ჰქონდეს დასაქმების შესაძლებლობა და საამისო უნარ-ჩვევები. *„როცა პროფესიულ განათლებაზე ვსაუბრობთ, მთავარია, გავიაზროთ გამოადგება თუ არა ესა თუ ის პროფესია ახალგაზრდას, იცოდეს რომელ სექტორს ანიჭებს პრიორიტეტს სახელმწიფო, თუმცა ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ადაპტირების უნარი. მოდელი, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, ამას უნდა ითვალისწინებდეს, უნდა ითვალისწინებდეს იმასაც, რომ არჩეული პროფესია საშუალებას აძლევდეს ახალგაზრდას, ავიდეს უფრო მაღალ საფეხურზე; პედაგოგთა ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება რეფორმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს. ეს გაეროს განვითარების პროგრამის მიდგომაა და უმუშევრობის*



*დასასრული მე-8 გვერდზე*

პროფესიული განათლება

# კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპული სტანდარტისაკენ



*მე-7 გვერდიდან*

*პირობებში აუცილებელია არა მარტო პროფესიული, არამედ განათლების ყველა შტოსათვის“. მანვე ისაუბრა პროგრამების დივერსიფიკაციის, მთლიანად სფეროსა თუ ცალკეული პროგრამების დაფინანსების (სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები), პროფესიული სტანდარტების შექმნის აუცილებლობის შესახებ. „სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამა მზადაა დახმარების გასაგრძელებლად“,* – დასძინა ქალბატონმა ინიტა პავლოვიჩმა.

კრიტიკული იყო პროფესიული განათლების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარის **დენის დავითაშვილის** გამოსვლა. მან მაღალი შეფასება მისცა ევროკავშირის როლს პროფესიული განათლების შემდგომი განვითარების საქმეში, პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგიის შექმნას, თუმცა აღნიშნა ისიც, რომ სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების დიდი ნაწილი არ შესრულდა. *„რაც შეეხება კანონს, რომლის შესახებაც დღეს ვსაუბრობთ, მისი წინასწარი განხილვა არ მომხდარა არც სოციალურ პარტნიორებთან, არც ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში და არც პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები და დამსაქმებლები იყვნენ ჩართულნი. კარგია, რომ შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მაგრამ ცუდია, რომ პროფესიულ განათლებაში ჩასატარებელი ღონისძიებები, ჯერჯერობით, გაერთიანებულია უმაღლეს განათლებაში განსახილველ საკითხებთან; ვერც კანონში ცვლილებები გვთავაზობს გამოსავალს ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხიდან. პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა, უმაღლეს სასწავლებელში ჩაებარებინა. ახლა მესამე საფეხურის დასრულების და დიპლომის აღების შემდეგ, შეუძლია მეოთხე საფეხურზე სწავლის გაგრძელება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემთხვევაში ზოგად უნარებში, მაგრამ ვისაც არ აქვს სრული ზოგადი განათლების ატესტატი, მას არ დაუშვებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; გაურკვეველია პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამტკიცების ვადები და მათი განხორციელების მექანიზმები“.* ბატონმა დენისმა განსაკუთრებით უარყოფითად შეაფასა, კანონის მიღებიდან 10 დღის შემდეგ, განათლების მინისტრის ბრძანებით, 14 პროფესიული სასწავლებლის ლიკვიდაციის ფაქტი. მან ყურადღება იმ დადებით მომენტებზეც გაამახვილა, რაც სისტემის რეფორმირებისთვის გაკეთდა და ახალი გადაწყვეტილებების მიღებამდე სოციალურ პარტნიორებთან, დარგის პროფესიონალ, გამოცდილ მუშაკებთან კონსულტაციების აუცილებლობაზე ისაუბრა.

კანონში შეტანილი ცვლილებები, ძირითადად, დადებით მოვლენად შეაფასა გაეროს განვითარების პროგრამის პროფესიული განათლების პროგრამების ხელმძღვანელმა **რეზო საყვარელიძემ**: *„პირველ რიგში, ეს არის მისი სისტემურობა – ერთ სისტემაში მოექცა ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლება; კანონი შედარებით მოქნილია და იმედია, ირიბად ხელს შეუწყობს განათლების ხელმისაწვდომობას, რაც დღეს დაბალ დონეზეა და კიდევ უფრო პრობლემური გახდა 14 სასწავლებლის ლიკვიდაციის შემდეგ. თუმცა, არის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული კანონში, მაგალითად, არაფერია ნათქვამი პედაგოგთა განვითარების შესახებ. ადრე პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონოდა გავლილი აკრედიტებული პროგრამა. ახალ კანონში ეს აუცილებლობა არ ჩანს. არადა, ვფიქრობ, სწორედ მასწავლებელთა განვითარება უნდა იყოს მთავარი. რეგულირების გარეშე დარჩნენ უმაღლესები, რომლებიც ამ პროგრამებს ახორციელებენ და ესეც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი; ასევე მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია არაფორმალური კვალიფიკაციის აღიარება. შეიძლება ადამიანს წლების წინ აქვს მიღებული რაღაც კვალიფიკაცია ან დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, უნდა არსებობდეს კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმი, ეს დასაქმებისთვისაა აუცილებელი; პროფესიული კოლეჯები მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე არ უნდა იყვნენ დამოკიდებული. მათ ისეთი ბაზები უნდა ჰქონდეთ, რომ სასწავლო პრაქტიკიდან მიღებული პროდუქციით შემოსავალი მიიღონ. ეს საკითხიც დასარეგულირებელია“.*

**ნინო ყოჩიაშვილი**, პროექტების მენეჯერი ევროკავშირის წარმომადგენლობაში: *„დღევანდელი შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი კანონში შეტანილი ცვლილებების საზოგადოებამდე მიტანაა. აქ მსჯელობით გამოიკვეთება, რამდენად შესაბამისობაშია კანონი პროფესიული განათლების სტრატეგიასთან, თუმცა ეს უფრო სერიოზული ანალიზის საგანია, რამდენად მოახდენს ზეგავლენას დარგის ეფექტურად განვითარებაზე. ჩვენი მხარდაჭერის შესახებ ცნობილია საზოგადოებისთვის – 19 მილიონი ევრო 2009-2012 წლების განმავლობაში. 2 მილიონი უკვე ჩაირიცხა საქართველოს ბიუჯეტში, ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად, დანარჩენიც ტრანშის სახით ჩაირიცხება. ეს დახმარება გაგრძელდება, თუ სახელმწიფო გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებს, ესაა სოციალური პარტნიორობის განვითარება, ყველა მხარის ჩართულობა, გადამზადება, სტანდარტების შემუშავება და, რა თქმა უნდა, ხარისხი – ესაა შედეგი, რომლის მისაღწევად ევროკავშირი ეხმარება საქართველოს. კანონი შეიძლება ძალიან დახვეწილი ჩანდეს ქაღალდზე, მაგრამ მთავარია, როგორ განხორციელდება და მიგვიყვანს თუ არა შედეგამდე. ჩვენ სასწავლებლების რაოდენობას არ მივდევთ, მაგრამ როგორ გავლენას მოახდენს 14 სასწავლებლის ლიკვიდაცია მომზადების ხარისხზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე, რომლის საშუალება ინკლუზიურ ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ, ამას კი დავაკვირდებით. ასეთი ტიპის შეხვედრებზე სწორედ მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე უნდა ვიმსჯელოთ“.*

თავად კანონში შეტანილი ცვლილებების პრეზენტაცია ახლად შექმნილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **დავით კერესელიძემ** გააკეთა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ფრაგმენტულად არ გვესაუბრა ამის შესახებ. უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ ბატონ დავითის შეფასებებსა და კომენტარს იმ სიახლეების შესახებ, რაც ცვლილებებითაა გათვალისწინებული.

***ანა ფირცხალაიშვილი***

თვალსაზრისი

# მოსალოდნელი შედეგი

სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში, წინა წლებთან შედარებით, მოს-

**ძველის, წარსულის უარყოფა არ შეიძლება, მასში ყოველთვის არის ის მარცვალი, საიდანაც ახალი აღმოცენდება. დღევანდელობაც ხომ მომავალი თაობისათვის წარსულად იქცევა.**

წავლეთა ცოდნის დონე დაბალია, რამაც თავი იჩინა მიმდინარე წლის ეროვნულ გამოცდებზე. ამ საგნების მასწავლებლები კარგა ხანია ვგრძნობთ და ვიცოდით, რომ დადგებოდა დრო ასეთი შედეგის მიღებისა. ეს არც მასწავლებლის და არც მოსწავლეთა ბრალი არ არის.

ჩვენს სკოლაში (თელეთის საჯარო სკოლა) წლების განმავლობაში ამ საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონე საკმაოდ მაღალი იყო და სწავლის ინტერესიც, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლები ჩვენი სკოლის აღზრდილები არიან, მუშაობენ სხვადასხვა სფეროში, ზოგი მათგანი მეცნიერ-მუშაკიცაა.

სად ვეძიოთ მიზეზი? სამი წლის განმავლობაში ინტეგრირებულმა სემესტრულმა სწავლებამ დიდი დაღი დაასვა საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონეს, რისი აღდგენაც საკმაო დროს მოითხოვს. მაგალითად, როდესაც მოსწავლე ამა თუ იმ საგანს, სასწავლო წლის განმავლობაში, ერთ-ერთ ტრიმესტრში ორ თვეს ისწავლიდა, ნაცვ-

**განა მოსწავლე ერთ აკადემიურ საათში ისწავლის ორგანულ ქიმიას?**

ლად 9 თვისა, მეორე სასწავლო წელს კი რომელიმე ტრიმესტრში კიდევ 2 თვეს და სამი წლის განმავლობაში საგნის სწავლება 6 თვე საკმაოდ დიდი ინტერვალით მიმდინარეობდა, არ გვექნებოდა ცოდნის დაბალი დონე?

მეორე მიზეზი – სკოლებში თითქმის ბუნებრივად იქცა ეს საგნები მეორეხარისხოვნად, მოსწავლეები მათ მხოლოდ სემესტრული შეფასებისათვის სწავლობდნენ. პრიორიტეტულ, პრესტიჟულ ფაკულტეტებად იქცა იურიდილი, ეკონომიური, ბიზნესის და სხვა ფაკულტეტები, თითქმის არსად ბარდებოდა ეს საგნები. ეროვნულ გამოცდებზე ისეთ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია – ფიზიკა-ქიმიის ფაკულტეტზე თითზე ჩამოსათვლელი სტუდენტები არიან, მაშინ, როდესაც დიდი კონკურსი იყო.

თუნდაც ავიღოთ კვირეული დატვირთვა ამ საგნებში – ყველა საგანთან შედარებით მცირეა. მე-12 კლასში ქიმიაში ერთი აკადემიური საათია. განა მოსწავლე ერთ აკადემიურ საათში ისწავლის ორგანულ ქიმიას? თანაც სწავლება მე-9 კლასიდან იწყება. რა იყო ცუდი, როცა საგნის სწავლება მე-7 კლასიდან იწყებოდა? რადგან დაწყებით კლასებში ბუნებისმეტყველებას 4 აკადემიური საათი ეთმობა, მის ხარჯზე უნდა შემცირდეს ამ საგნების კვირეული დატვირთვა საბაზო და საშუალო საფეხურზე? მოსწავლეთა ცოდნის დონეზე, ბუნებრივია, გავლენას ახდენს მცირე კვირეული დატვირთვა. შეიძლება ეს ყველაფერი დამწყები მასწავლებლისათვის ნაკლებად მტკივნეული იყოს, მაგ-

**სამი წლის განმავლობაში ინტეგრირებულმა სემესტრულმა სწავლებამ დიდი დაღი დაასვა საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონეს.**

რამ საკმაო პედაგოგიური გამოცდილების მქონე პედაგოგისათვის, რომელმაც იცის როგორი იყო ამ საგნებით დაინტერესება და როგორია დღეს, ათჯერ მტკივნეულია.

ყოველწლიურად ხდებოდა ლაბორატორიების შევსება სხვადასხვა თვალსაჩინო მასალით, რეაქტივებით. მივესალმებით ვირტუალური ლაბორატორიების შემოღებას, მაგრამ ყველაფრის სწავლება და დასწავლა მარტო ამ გზით შედეგს ვერ მოგვცემს. აუცილებელია, მოსწავლე პრაქტიკულად, თვითონ შეეხოს საკვლევ ობიექტს, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, რისთვისაც საჭიროა არსებული ლაბორატორიების შევსება. რომელი უკეთესია – ბავშვს ვაშლი დავანახოთ, ვუთხრათ, ტკბილია, გემრიელია, თუ მივცეთ, თვითონ შეჭამოს და გაიგოს გემო?

ყოველთვის ვამბობ, რომ ძველის, წარსულის უარყოფა მთლად არ შეიძლება, მასში ყოველთვის არის ის მარცვალი, საიდანაც ახალი აღმოცენდება. დღევანდელობაც ხომ მომავალი თაობისათვის წარსულად იქცევა. ჩვენი ვალია, ვასწავლოთ მათ წარსულის პატივისცემა.

„აწმყო შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა“

***რიმა ფარეშიშვილი***
*გარდაბნის რაიონი, თელეთის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი*

საგანმანათლებლო კერა

# რაჭა უძველესი სკოლები ქვემო რაჭაში

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე – რაჭა, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობაში. ჩრდილოეთით რაჭას ოსეთი ესაზღვრება, ჩრდილო-დასავლეთით – ქვემო სვანეთი, სამხრეთით – იმერეთი, აღმოსავლეთით – შიდა ქართლი, დასავლეთით – ლეჩხუმი. ისტორიულ-გეოგრაფიულად რაჭა სამ კუთხედ იყოფა: მთის, ზემო და ქვემო. რაჭას ოთხივე მხრიდან მაღალი მთები აკრავს: ჩრდილოეთით –კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით – ლიხის მთა, სამხრეთით – ნაქერალა და დასავლეთით – სვანეთის მთები.



ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, რაჭა შემდეგი შემთხვევის გამო დარქმევია: ერთ ქართველ მონადირეს, რომელიც აქ პირველად დასახლებულა, ნაქერალადან გადმოუხედავს, განცვიფრებულა რიონის ვიწრო და ღრმა ხეობით, ჭისთვის მიუმსგავსებია და უთქვამს: „ეს რა ჭა ყოფილაო!". ამის შემდეგ, ამ მხარისთვის რაჭა დაურქმევიათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაჭაში რამდენიმე საეკლესიო-სამრევლო სკოლა და დაწყებითი სასწავლებელი არსებობდა. ქვემო რაჭაში, რევოლუციამდელ პერიოდში, დაწყებითი სკოლები გაიხსნა: ნიკორწმინდაში, ბუგეულში, ჭელიაღელეში, ზნაკვაში, ქვიშარში, კვაცხუთში, ამბროლაურში, ჭრებალოში, აბარში, სადმელში, ხიმში და ტოლაში.

სამრევლო და სამოქალაქო სკოლების გახსნისა და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულეს, ზნაკვაში – **გ. მურუსიძემ**, ჭელიაღელეში – **ა. კანდელაკმა, მ. მიქაუტაძემ, გ. ჭანტურიამ, ნ. ჩიმაკაძემ, ნ. ჩიკვაიძემ, ლ. კიკვაძემ, ბ. მესხმა, ი. კბილაძემ, ფ. კიკვაძემ**, სადმელში – **ა. შარაბიძემ**, ნიკორწმინდაში – **გ. სოხაძემ** და სხვ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის განვითარება დაჟინებით მოითხოვდა განათლების გაუმჯობესებას. რაიონის საზოგადოების ინიციატივითა და ხარჯებით, ქვემო რაჭაში ორკლასიანი სასწავლებლები და უმაღლესი დაწყებითი სკოლები გაიხსნა: ამბროლაურში, ჭრებალოში, ბუგეულში, ტოლაში, ხვანჭკარაში.

ქვემო რაჭაში ერთ-ერთ უძველეს სკოლად მოიხსენიება სოფელ ჭელიაღელის სკოლა. 140 წლის წინ, 1870 წელს, სოფელ ჭელიაღელეში, უმაღლესი ტიპის დაწყებითი სკოლა გაიხსნა. მსგავსი ტიპის სკოლები საზოგადოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ მაშინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ სოფელში მაღალი ტიპის სასწავლებელი გახსნილიყო.1914 წელს, სოფელ ნიკორწმინდაში, საკუთარ სახლში, კერძო სკოლა გახსნა **დავით კუბლაშვილმა**. ღარიბი გლეხის შვილებს უფასოდ ასწავლიდა. მოგვიანებით, მისი ინიციატივითა და აქტიური მუშაობით, აშენდა ნიკორწმინდის სამრევლო სკოლის კაპიტალური შენობა. ნიკორწმინდის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, სათანადო მისაღები გამოცდების შემდეგ, შეიქმნა ორი კლასი. პირველ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 21-ს შეადგენდა, ხოლო მეორე კლასში – 15-ს. სკოლა ტერიტორიულად სოფელ აგარაში იყო განთავსებული, ხოლო სახელს ნიკორწმინდისას ატარებდა. 1916-17 სასწავლო წლისთვის სკოლა, რომელსაც **ლონგინოზ კიკვიძე** ხელმძღვანელობდა ოთხი კლასით დაკომპლექტდა.

1921 წლის 15 აპრილს, დეკრეტით, ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ეკლესიას კი – სკოლა. ქვემო რაჭაში, 1921-1926 წლებში, გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები და ქოხ-სამკითხველოები. ახლად დაარსებული განათლების სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, შეიცვალა სკოლის ტიპი. 1921-26 წლამდე ნიკორწმინდას 7- წლიანი შრომის სკოლის დირექტორად მუშაობდა **მინა მესხი**. 1923 წელს შრომის სკოლას პირველი გამოშვება ჰყავდა – აღნიშნული კლასი 26-მა მოსწავლემ დაამთავრა. მოგვიანებით, 1955-56 სასწავლო წლებში, სკოლა 7-წლიან სასწავლებლად გადაკეთდა. ამ დროს, მოსწავლეთა რაოდენობა 116 იყო. ამ პერიოდში, ქვემო რაჭის სოფლებში თითქმის ლიკვიდირებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობა თუ მცირედ მცოდნეობა.

1935 წლამდე, სოფელ სადმელში, არსებობდა შვიდწლიანი სკოლა, რომლის აშენების თარიღი უცნობია. შენობა ხისგან ყოფილა ნაშენი. 1935 წელს სოფლის მკვიდრმა **ბიძინა მუსერიძემ**, რომელიც ამავე სკოლის დირექტორი იყო, საკუთარი სახსრებით გაადიდა სკოლის შენობა. სკოლას მდიდარი ტრადიცია აქვს, თავის დროზე აქ მოღვაწეობდნენ დამსახურებული პედაგოგები. 1991 წლის 29 აპრილს, რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, სკოლა დაინგრა, ამავე წელს აშენდა ახალი შენობა.

ქვემო რაჭაში ერთ-ერთი უძველესია სოფელ ბოსტანის საჯარო სკოლა, რომელიც1872 წელს დაუარსებია მღვდელ **ალექსი შარაბიძეს**. ის თავად ყოფილა ამ სკოლის მასწავლებელი, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, საკუთარი სახსრებით ასწავლიდა ღარიბი გლეხის შვილებსა და სწავლის ყველა მსურველს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ალექსი შარაბიძე ეპისკოპოსად აკურთხეს, მან სკოლაში, საკუთარი სახსრებით, თავისი ბიძაშვილი – **ვასილ შარაბიძე** მიიყვანა და სოფლის მოსწავლეთა სწავლა-განათლების საქმე გადააბარა. ვასილ შარაბიძის გარდაცვალების შემდეგ, ბოსტანის სკოლამ არსებობა შეწყვიტა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განახლდა. 1924 წელს, ეკლესიის შენობაზე მიდგმულ პატარა შენობაში, გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1926 წლიდან – ოთხკლასიანი, რომელიც 1938 წლამდე არსებობდა, შემდეგ სკოლა 7-წლიან სასწავლებლად გადაკეთდა, ხოლო 1947 წლიდან – რვაწლიან სკოლად, რომლის პირველი დირექტორი ამავე სოფლის მკვიდრი **ირაკლი შაუთიძე** იყო. 1986 წელს, ძველი ხის შენობის ადგილზე, ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა აიგო, სპორტული დარბაზით. სკოლა 150 მოსწავლეზეა გათვლილი.

ქვემო რაჭაში, სოფელ ტოლის საჯარო სკოლაში არსებული 1930 წლის პასპორტის ჩანაწერების მიხედვით, სოფელში ორკლასიანი სასწავლებელი 1880 წელს დაარსებულა, პირველი მასწავლებელი გურიიდან ყოფილა (გვარი ისტორიას არ შემოუნახავს), მოგვიანებით მასწავლებლებად ვინმე კიკვიძეებს მოიხსენებენ. 1930 წლიდან, სკოლა გადაკეთდა 7-წლიან სასწავლებლად, სადაც სწავლას აგრძელებდნენ სოფელ ხვანჭკარის, პირველი და მეორე ტოლის დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულები. თავის დროზე, სკოლაში, მოღვაწეობდნენ დამსახურებული პედაგოგები: **ჟენია საგანელიძე, ნაზი სვანიძე, ნუცა ტყეშელაშვილი, ფოთოლა კიკვიძე, ჟუჟუნა ტყეშელაშვილი, ვიქტორ მეტონიძე, წუწულა გაგოშიძე, კოსტა ლომთაძე, გივი და დავით ლომთაძეები, გრიშა სარდანაშვილი.**

1913 წელს, სოფელ ჭრებალოში, **ლონგინოზ კიკვიძის, ლავრენტი ღოღელიანისა** და **პოლიექტივ გაგოშიძის** თაოსნობით, გაიხსნა ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლა, ხოლო 1917 წლის 1 სექტემბერს, ადგილობრივი მკვიდრის, **ანტონ ცხვედიანის** კერძო სახლში ფუნქციონირება დაიწყო ჭრებალოს „უმაღლესმა დაწყებითმა სასწავლებელმა". 1920 წელს გაიხსნა ჭრებალოს გიმნაზია, რომელიც კადრების უკმარისობის გამო მალევე დაიხურა. 1934 წელს, ჭრებალოს სკოლა ხის შენობაში განთავსდა. 1940 წლის ივნისში შენობა, ხანძრის შედეგად, მთლიანად განადგურდა. 1963 წელს, სოფელ ჭრებალოში, სკოლისთვის სამსართულიანი კაპიტალური შენობა აშენდა, რომელსაც 2008 წელს, სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაო ჩაუტარდა.

აღსანიშნავია, რომ 1919-1921 წლებში, ჭრებალოს სკოლაში, IV-VI კლასებში სწავლობდა სტალინის შვილი იაკობი (იაშა) ჯუღაშვილი. *„პატარა იაკობს იოსებ სტალინი საცხოვრებლად და სასწავლებლად საქართველოში, დედულეთში, სოფელ ბაჯში, ბაბუასთან, სიმონ სვანიძის ოჯახში აგზავნის. იაშა ჭრებალოს „უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში" მოეწყო და იქ 1920 წლამდე სწავლობს, რის შემდეგაც საცხოვრებლად მოსკოვში, მამასთან გადადის. 1928 წელს, იაკობმა უკანასკნელად კიდევ ერთხელ ინახულა დედულეთი, სოფელი ბაჯი და ჭრებალო, სადაც იგი სწავლობდა და უამრავი მეგობარი ჰყავდა".*

საინტერესოა უძველესი სოფლის – ზედა ჟოშხის სკოლის ისტორია. 1924 წლის 5 ივნისს, სოფელ გენდუშისა და ჟოშხის მოსახლეობის საერთო კრებაზე გადაწყდა, სოფელ ზედა ჟოშხის გაუქმებული ეკლესიის შენობაში დაწყებითი სკოლა გახსნილიყო. სოფლის თავკაცების – **გალაქტიონ** და **ვანო სანთელაძეების, დიმიტრი ფრუიძის, სიმონ სანთელაძის** და **გიორგი კერვალიშვილის** გადაწყვეტილებით, აღნიშნული სკოლის ხელმძღვანელობა ამავე სოფლის მკვიდრს, **სიმონ ჭილვარიას** დაევალა.

1924 წლის 1 ოქტომბერს, გაუქმებულ ეკლესიაში, ჟოშხა-გენდუშის მოსწავლეებისათვის სკოლის ზარი პირველად დაირეკა. ძველ, ნესტიან, ფარღალალა ხის შენობაში, მერხების და სკამების მაგივრობას ხის ფიცრებით სახელდახელოდ შეჭედილი გრძელი მაგიდა და ე.წ. „სკამეიკა" ასრულებდა; დაფის მოვალეობას – ძველ ჩარჩოში ჩასმული 30-სანტიმეტრიანი ხის პატარა ნაჭერი, რომელსაც მასწავლებელი „დოსკას" ეძახდა. ცარცს მოსწავლეები თავად ამზადებდნენ. მდინარე ასკის სანაპიროზე ნაპოვნი ალიბასტრის ქვა, ცეცხლში გამოწვის შემდეგ, ცარცის მოვალეობას ასრულებდა. არავითარი მოძრავი ანბანი და მართლწერის დედანი მაშინ არ არსებობდა. საწერი ქაღალდი ძნელად იშოვებოდა, მელანს კი, ისევ თავად მოსწავლეები, მცენარე კვიდოლას ნაყოფისგან ამზადებდნენ. ყველაზე დიდ სირთულეს სახელმძღვანელოების ნაკლებობა წარმოადგენდა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" ერთი ეგზემპლარით 20 მოსწავლე სარგებლობდა. ზამთრის სუსხიან დღეებში ნახევრად ტანშიშველა ბავშვებს უძნელდებოდათ სკოლაში სიარული. ბევრი მათგანი მწარედ იცრემლებოდა ადიდებულ ლაშის ღელესთან, გაყინულ წყალში მეორე ნაპირზე გასვლა განსაკუთრებით გოგონებს უჭირდათ. პატარებს, ასევე, უძნელდებოდათ მოლიპულ გორაკზე ასვლა. სკოლაში მისულები ხშირად ვერ თბებოდნენ, დაზიანებული ღუმელის გამო. სკოლაში სიარული გენდუშელი ბავშვებისთვის იყო განსაკუთრებით რთული. ამიტომ დაისვა საკითხი, სკოლა ნეიტრალურ ზონაში აშენებულიყო, სადაც ორივე სოფლის მცხოვრებთ გაუადვილდებოდათ მისვლა. ხელნაწერში, რომელმაც სკოლის ისტორია შემოგვინახა, დაწვრილებითაა აღწერილი ეკლესიის ნგრევის პროცესი. *„სკოლის შენობის ასაშენებლად ეკლესიის შენობაც იქნა გამოყენებული. გაუქმებული ეკლესიის შენობის დარღვევას ვერავინ ბედავდა. „გმირობა" გენდუშელმა ივანე ჭელიძემ და ჟოშხელმა გიორგი კერვალიშვილმა გამოიჩინეს. ხალხი აღშფოთებული უცქერდა ეკლესიის შენობას, რომლის ცალკეული ნაწილები ბზრიალ-ტრიალით ეშვებოდა ძირს, სადაც თავკაცების მიერ მოყვანილი ხარ-ურემი სწრაფად იტვირთებოდა და დანიშნული ადგილისაკენ მიდიოდა. მშენებლობაში მოხელეებთან ერთად, მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ".*

1925-26 სასწავლო წლისთვის ახალი სკოლის შენობა უკვე მზად იყო, სასკოლო ინვენტარის შესაძენად სოფელ ჭრებალოში საქველმოქმედო საღამო გაიმართა, შეგროვილი თანხით სკოლისთვის მერხები და დაფები შეიძინეს. სკოლა ორი კლასით (45 მოსწავლე) დაკომპლექტდა. მძიმე პირობების მიუხედავად, მოსწავლეები ბეჯითად სწავლობდნენ, აკადემიურად თითქმის არც ერთი მოსწავლე არ ჩამორჩებოდა. მოსწავლეთა კონტინგენტი ყოველწლიურად მატულობდა – თითო კლასი ემატებოდა და სკოლის ცხოვრება წინ მიიწევდა.

1930-31 სასწავლო წლის ზამთარში, დაუდევრობით, სკოლა დაიწვა. ზარალი დიდი იყო. თუმცა, შენობა მალე განახლდა და 1936-37 სასწავლო წლისთვის ჟოშხა-გენდუშის დაწყებითი სკოლა არასრულ საშუალოდ გადაკეთდა.

1929 წელს, ამბროლაურის რაიონში, იყო: 9 შვიდწლიანი შრომითი სკოლა (ბუგეულში, სადმელში, ამბროლაურში, ჭელიაღელეში, ნიკორწმინდაში, ხოტევში, კვაცხუთში, მეორე ტოლაში და ზნაკვაში), 41 დაწყებითი და ერთი საბავშო ბაღი. პირველი საბავშვო ბაღი ამბროლაურში 1924 წელს გაიხსნა.

ამავე წელს, ამბროლაურში, გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი – ერთ-ერთი პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი საქართველოში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. 1932 წელს, ამბროლაურში, გაიხსნა საშუალო სკოლა და დაარსდა პედაგოგიური ტექნიკუმი. 1978 წელს გაიხსნა დასწრებულ-დაუსწრებელი საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა; 1982 წელს – პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც 600 მოსწავლეზე 9 სასწავლო სახელოსნო მოეწყო. ქვემო რაჭაში, ამ პერიოდში, გაიხსნა ერთი სარაიონო ბიბლიოთეკა, აქტიურად მუშაობდა 56 სასოფლო ბიბლიოთეკა, 38 სასოფლო კლუბი, საბავშვო ბიბლიოთეკა, სახვითი ხელოვნების ორი მუზეუმი, 1979 წლიდან – ცნობილი რევოლუციონერის, რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივნის – აბელ ენუქიძის სახლ-მუზეუმი მის მშობლიურ სოფელ წკადისში. რაიონში ამუშავდა მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, სარაიონო კულტურის სახლი.

დღეს, ქვემო რაჭაში, 21 საჯარო სკოლა (10 – საშუალო და 11 – საბაზო) ფუნქციონირებს, სადაც 1268 მოსწავლე სწავლობს. მათი სწავლა-აღზრდის საქმეს 350 პედაგოგი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი ემსახურება.

*მოამზადა* ***მაკა ყიფიანმა***

C M Y K

კვალი ნათელი

# „მივდივარ მარსზე!“

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკს დაუწერია ეს ლექსი:

„მომხდარ ამბებით მზის სხივები ჩაიხერგება,
ჩამოინგრევა შორეული ზეცის თაღები,
გადახმებიან ვენახები და ბალახები,
მე ხომ მზის დისკო ნათლიად თუ ბიძად მერგება.
მაშ, რაღა მინდა, გადმოვდგები ღრუბლის რიკულზე,
ხელებს გავშლი და გავფრინდები, როგორც ტოროლა,
დაბლა დამრჩება სინანული თითო-ოროლა,
გავიხსენებ და გავსკდები გულზე.
გულგახეთქილი დავეშვები, ვით მეტეორი,
დამრჩება უკან ცის სივრცე და ცისვე თაღები,
დაბლა გახმება ბალახები და ვენახები
და ავთრთოლდები სიკვდილისგან, ვით სუსტი წნორი.
და აღარ ვდარდობ, თუ რამდენი ვიფიქრე მასზე
და რაოდენი ღამე ჩემს წინ მკვდარი დაეცა,
მე უკან დამრჩა დედამიწა, კრიალა ზეცა,
მივდივარ მარსზე“.

მარსამდე ჯერ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. ჯერ არ იცოდა მის მიერ დადგმული სპექტაკლები რამდენ წარმატებას და სიხარულს მოუტანდა მარჯანიშვილის, თელავის, გორის, ქუთაისის, ახალციხის, ჭიათურის, ფოთის, ზუგდიდის, მახარაძის თეატრებს, ტელევიზიასა და რადიოს.

გურამ მაცხონაშვილი პროფესიით რეჟისორი გახლდათ, ჭკუით, ნიჭით, განათლებით, მუსიკის, მხატვრობისა და ლიტერატურის ზედმიწევნით ცოდნით ადრეულ ასაკიდანვე სხვათაგან გამორჩეული.

მაინც როდის მოასწრო ყველაფერი ერთად და ერთნაირად შეეთვისებინა ამ უპრეტენზიო, სულით მდიდარ კაცს, რომელიც არასოდეს ცდილობდა თავის გამოჩენას და შემოქმედებითი წარმატებების მიუხედავად, მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა.

წარმატებები კი, იცოცხლეთ ხშირად მოსულა. მისი სპექტაკლები ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე და თუმცა ამ ზეიმის უპირველესი ავტორი თავად იყო, არასოდეს მიუჩნევია თავისად.

ეს უხმაურო, უშფოთველი, დინჯი და აუჩქარებელი კაცი ხშირად ტოვებდა თეატრს, მოდიოდა რადიოში და მის „ოქროს ფონდის“ საგანძურს დაუვიწყარი დადგმებით ამდიდრებდა. მაგრამ უთეატროდ ცხოვრება არ შეეძლო და კვლავ უკან ბრუნდებოდა, აკი უთქვამს კიდეც: „ჩემი ქიმერიონიც და ჩემი ტაძარიც თეატრია“.

ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვიყავით, ვცხოვრობდით ერთ უბანში, ერთად დავდიოდით პიონერთა სასახლის დრამატულ წრეში, ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი, ერთად ვმუშაობდით რადიოში და თითქოს ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდით, ერთი რამ ჩემთვის მაინც იდუმალებით იყო მოსილი – მიზეზი იმ სევდისა, რომელსაც გურამი სიცოცხლის ბოლომდე დაატარებდა.

„დღეს ღრუბელი წევს ხეებსა ზედან,
გული ღრუბელზე უფრო მძიმეა,
თვალდახუჭული აქედან ვხედავ,
თუ ვის რამდენჯერ გაუღიმია.
დღეს ცარიელი სურაა, ვგონებ,
ხმელეთი დიდი და უსასრულო,
ვიცი, ღრუბელი დიდ განძს გაგონებს,
მაგრამ იყუჩე, იყუჩე გულო!..

ვიცი, რომ ეს დღე გაწევს ლოდივით,
მლიქვნელთა ფუსფუსს ზიზღით დასცქერი,
ვიცი სექტემბერს რომ ელოდები,
შენი სტუმარი არის ნამქერი.
ზღვაც ხომ დიდია და ლურჯზე – ლურჯი,
მასაც აშფოთებს შმაგი ქარები,
და შენ ქარიშხალს თუ გადაურჩი
მძლე ოკეანეს დაედარები!..

მაშინ, მერწმუნე, ქარი და წვიმა,
შეგათრთოლებენ მხოლოდ და მხოლოდ,
ვერ მოგგლეჯს, როგორც მოგგლეჯდნენ წინათ,
ისე, ვით ფოთოლს ოქტომბრის ბოლოს.
მაშ, ნუ გაშფოთებს ო, ეს ღრუბელი,
გამაგრდი გულო!..
რა ვქნა, თუ მსუსხავს სევდა უთქმელი,
ხომ არ იქნება ეს უსასრულო!...“

ვიცოდით, რომ წერდა ლექსებს, თუმცა არასოდეს გაუმჟღავნებია, ერთი სტრიქონიც კი არ წაგვიკითხავს, წერდა თავისთვის, ქაღალდს ანდობდა ტკივილს თუ სიხარულს. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა მეუღლემ, მსახიობმა და თავადაც მშვენიერი ლექსების ავტორმა ეთერ ავაზაშვილმა უბის წიგნაკის ჩანაწერებთან ერთად. ჩანაწერებში ხშირად ახსენებს სიკვდილს:

„კარებს ღიას ვტოვებ, შემოვიდეს სიკვდილი, ტკივილი, სიხარული“.

„მიზნის მიღწევა და სიკვდილი ერთდროულად ხდება. ერთი მიზანი მთელი ცხოვრების მანძილზე და ერთი სიკვდილი, ამაზე კარგი არაფერი შეიძლება იყოს ქვეყნად“.

„მე მგონი, როგორც ადამიანები არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ხეები არ ჰგვანან ერთმანეთს და ბევრი რამ, ისე სიკვდილი, ამიტომ კვდება ყველა თავისებურად“.

„ერთ დღეს, ნოემბრის წვიმიან დღეს თუ მაისის ლივლივში, გადამათრევენ და ჩემზე მოგონება შერჩება ორიოდე კაცს.“

ეს სტუდენტობის დროინდელი ჩანაწერებია. ნუთუ მთელი სიცოცხლე სიკვდილის მოლოდინი აწვალებდა?

„არ ვიცი კარგო, შემოდგომის რად მეშინია?!“
„შემოდგომა მემუქრება, სად ხარ...“

ამას მოგვიანებით ამბობს.
უფრო მოგვიანებით კი, მთელი 35 წლის შემდეგ:

„სიკვდილი ისე მშვიდად მომივა,
გზა გამოვლილი შარად დაშრება.
....
სად გადამივლის შენი ბორბალი,
როდის მომწვდება შენი მარჯვენა,
დამიწანდილეთ მცირე ხორბალი,
მართალი სულის გადასარჩენად“.

და, აჰა, დადგა მისი უკანასკნელი შემოდგომაც, 1987 წლის 2 ოქტომბერი.

ამაოდ ელოდნენ იმ დილით გორის თეატრში მორიგი რეპეტიციის ჩასატარებლად. ის კი, თავისი ჭკვიანი, სევდაჩამდგარი დიდი ცისფერი თვალებით გულგამსკდარი მიემგზავრებოდა მარსისაკენ.

*თინათინ ელბაქიძე*

## ინფორმაცია



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

სკოლა-პანსიონს, რომელიც 2010 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა, მეურვეობას თავად კათოლიკოს-პატრიარქი უწევს. სკოლას დეკანოზი **მირიან სამხარაძე** ხელმძღვანელობს, რომელიც წლების განმავლობაში, ხულოში, ტბელ აბუსერიძის სახელობის გიმნაზიაში მოღვაწეობდა.

სკოლა-პანსიონში, სადაც 400 ბავშვი სწავლობს, სწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით მიმდინარეობს. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია, ასევე, დავიწყებას მიცემული ძველი ქართული სახელოვნებო და სახელობო სწავლება: ვაჟებისთვის – ოქრომჭედლობა, ხესა და ქვაზე კვეთა,
ხოლო გოგონებისთვის – ხელსაქმე; გარდა ამისა – მუსიკა, მათ შორის, ქართული ფოლკლორი და სპორტი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი: *„მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების გარდა, სკოლა-პანსიონში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, სხვადასხვა მეცნიერებებს, ერის კულტურას, ხელობასა და ხელსაქმეს დაეუფლონ“.*

სკოლა-პანსიონში, სადაც ინფრასტრუქტურა მთლიანად გამართულია, 2011 წლის ზაფხულში საზაფხულო სკოლები გაიხსნება, იქ თურქეთში, ირანსა და საინგილოში მცხოვრები ბავშვები ისწავლიან.

* * *

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა **ილია II-მ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ სტუდენტებს სიტყვით მიმართა, დალოცა ისინი და განათლების მიღების აუცილებლობაზე ისაუბრა.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებს, რაც ქვეყნის აღმშენებლობის პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. *„მადლობა მინდა გადავუხადო მის უწმინდესობას იმისთვის, რომ საპატრიარქოსთან არსებული ეს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი ყველა დადგენილ სტანდარტს პასუხობს“* – განაცხადა მინისტრმა.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში მოქმედებს ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ბიზნესისა და სოციალური ფაკულტეტები.

ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად ირიცხებიან. წელს უნივერსიტეტში სწავლას ასოცდაექვსი პირველკურსელი შეუდგა.

**დიმიტრი შაშკინი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელია საქართველოში. გარდა უმაღლესი სასწავლებლისა ამ დაწესებულებას აქვს ბევრად უფრო დიდი ფუნქცია. თითოეული სტუდენტისთვის ამ უნივერსიტეტში სწავლა დიდი პატივია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები, რომელიც ჩამოყალიბდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის. პირადად ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანია კეთილი განწყობა და ყველა ის რჩევა, რომელსაც პატრიარქისგან, მისი უწმინდესობისგან ვიღებთ. საქართველოში ეკლესია და საპატრიარქო ყოველთვის ძალიან დიდ როლს ასრულებდა განათლების სისტემაში. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ეკლესიამ დაიბრუნა ეს შესაძლებლობა. გარდა ამისა, აგრეთვე მნიშვნელოვანია საპატრიარქოს როლი ზოგად განათლებაში. სასიხარულოა, რომ საპატრიარქოს მიერ გახსნილ სკოლებში ბევრ ბავშვს ეძლევა საშუალება ისწავლოს, მიიღოს სრულყოფილი განათლება და ამის შემდეგ ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში“.*

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** და საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი** მასწავლებელთა გაერთიანებული პროფკავშირის წევრებს შეხვდნენ.

მინისტრმა ასამდე პედაგოგს მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდმივად აწყობს შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივ დარბაზთან და მრჩეველთა საბჭოსთან. *„მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ჩართულობა რეფორმების პროცესში. ამ მხრივ, მასწავლებელთა გაერთიანებული პროფკავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.“* * აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

მან ვრცლად ისაუბრა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ახალ საგნებზე, შეფასების ახალ სისტემაზე, უსაფრთხო სკოლის კონცეფციაზე და სხვა მრავალ სიახლეზე. მასწავლებელთა გაერთიანებული პროფკავშირის წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010-2015 წლების სტრატეგიული გეგმა წარუდგინა.

საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარის, ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, მისასალმებელია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული კავშირების გაერთიანებებთან. რეფორმებში მასწავლებლებისა და პროფკავშირების ჩართულობა შედეგზე ორიენტირებული დამოკიდებულებაა.

შეხვედრაზე მინისტრმა მასწავლებელთა გაერთიანებული პროფკავშირის წევრების შეკითხვებსაც უპასუხა.

* * *

მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** და განათლების პროფესიული სინდიკატის პრეზიდენტი **ტატო შავშიშვილი** თბილისის 21-ე საჯარო სკოლას ეწვივნენ და მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდებზე გასული ყველაზე მაღალქულიანი მასწავლებელი **ნინო ქევხიშვილი** დააჯილდოვეს.

თბილისის 21-ე საჯარო სკოლის გერმანული ენის პედაგოგი ნინო ქევხიშვილი სერტიფიცირებულ პედაგოგთა შორის ერთ-ერთია, რომელმაც პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე მაღალი შედეგი აჩვენა. მან პროფესიულ უნარებში – 56, საგნობრივში – 116, მთლიანობაში 172 ქულა დააგროვა.

დიმიტრი შაშკინმა საქართველოს ყველა პედაგოგს მიულოცა მასწავლებელთა საერთაშორისო დღე.

პედაგოგები, რომლებმაც მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და ცოდნის მაღალი დონე აჩვენეს, ახალი სასწავლო წლიდან გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ. გარდა ამისა, ისინი მენტორ მასწავლებლებად იმუშავებენ და შესაძლებლობა მიეცემათ, სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთონ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, პედაგოგთა სერტიფიცირების მთავარი ამოცანა კვალიფიკაციის ამაღლებაა და მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა უმეტესობა ამ ინიციატივას გამოეხმაურა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, თბილისის 21-ე საჯარო სკოლის გარდა, უკვე დააჯილდოვა თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების ის მასწავლებლები, რომლებმაც სასერტიფიკატო გამოცდები ასევე წარმატებით გაიარეს.

ისწავლე საქართველოში

# ქართული დიასპორა წამყვან უნივერსიტეტებში



თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები ერთობლივ პროგრამას – „ისწავლე საქართველოსთვის“ ახორციელებენ. პროგრამა თურქეთში მცხოვრები ქართველი ახლგაზრდობისთვის შემუშავდა და ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის ახალგაზრდას, სახელმწიფოს დაფინანსებით, წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საშუალება მიეცემა. წელს პროექტი 50 ახალგაზრდაზეა გათვლილი, ისინი უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს შემდეგ უნივერსიტეტებში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

20 სტუდენტი, პროექტის „ისწავლე საქართველოში“ ფარგლებში, უგამოცდოდ შეუდგებიან სწავლას და მათი სწავლა სახელმწიფო სასწავლო გრანტით სრულად დაფინანსდება.

სწავლა ქართულ ენაზე იწარმოებს, პირველ წელს პროგრამით გათვალისწინებულია ქართული ენის სწავლებაც. სწავლის პერიოდში სტუდენტებს დაენიშნებათ მაღალი სტიპენდია.

პროექტის ინიციატორები, 5 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვდნენ საქართველოში სწავლის მსურველ ახალგაზრდებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **მირზა (პაპუნა) დავითაიამ** და უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ალექსანდრე კვიტაშვილმა** 20 ახალგაზრდას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

**დიმიტრი შაშკინი:** *„ამ პროექტის საშუალებით ჩვენს თანამემამულეებს მივცემთ საშუალებას ისწავლონ ჩვენი ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩაერთო ამ პროექტის განხორციელებაში და გარკვეული წვლილი შეიტანა თურქეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების განათლების საქმეში. ჩვენ მათ დავუნიშნავთ სტიპენდიებს და სწავლისათვის ხელსაყრელ პირობებს შევუქმნით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს პროექტი წარმატებული იყოს.“*

**ალექსანდრე კვიტაშვილი:** *„დღეს ჩვენი უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი დღეა, რადგანაც მივიღეთ ახალგაზრდები თურქეთიდან, რომელთაც ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სურვილი გამოთქვეს. შევეცდებით, შევქმნათ მათთვის კომფორტული გარემო და პირადად ვიქნები დაინტერესებული და ჩახედული ყველა დეტალში, რათა პროგრამა „ისწავლე საქართველოში“ წარმატებით განხორციელდეს. ჩვენი უნივერსიტეტის სახელით, კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ სტუდენტებს სწავლის დაწყებას და შევახსენებ მათ, რომ თბილისის უნივერსიტეტი ყველაზე ძველი უნივერსიტეტია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც და ამ პროექტით ვაძლევთ საშუალებას, ისწავლონ ამ სახელოვან უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ახალგაზრდებს სიმბოლური საჩუქრებიც მოვუმზადეთ, რომელსაც ახლა გადავცემთ. 5-მა სტუდენტმა აირჩია ჩვენს უნივერსიტეტში სწავლა, დანარჩენებმა – სხვა უნივერსიტეტები. თავისთავად, პირველ წელს მათთვის უმთავრესი ქართული ენის ინტენსიური შესწავლა იქნება, შემდგომ წლებში კი არჩეულ ფაკულტეტებზე გააგრძელებენ სწავლას ქართულ ენაზე.*

*როგორც გითხარით, ჯგუფი გადანაწილებულია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, ბათუმის უნივერსიტეტში. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, რადგანაც თურქეთში პროექტის გამოცხადებისთანავე გამოგვეხმაურენ ეთნიკური ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც, ასე ვთქვათ, „დაბრუნების“ შემდეგ ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებად იქცევიან.“*





**მირზა (პაპუნა) დავითაია:** *„პროგრამა გამიზნულია ჩვენი მეგობარი და მეზობელი ქვეყნის – თურქეთის ახალგაზრდობისათვის. მისი განხორციელება კიდევ უფრო გააღრმავებს ამ ორი ქვეყნის მეგობრობას, გააუმჯობესებს ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ხელს შეუწყობს კულტურათა შერწყმას და, რაც მთავარია, ქართული დიასპორის საქართველოსთან მიბმის პროცესს გაცილებით უფრო ეფექტურს გახდის. ამ და სხვა მსგავსი პროგრამებით, რომლებსაც მომავალში ვგეგმავთ, ქართული დიასპორისთვის სასიკეთო საქმეებს გავაკეთებთ.*

*ამ ტიპის პროგრამა, როგორც ხედავთ თურქეთით დავიწყეთ, ამას, ბუნებრივია, თავისი მიზეზი აქვს. მოგეხსენებათ, თურქეთში ყველაზე ისტორიული სათვისტომო გვყავს, მათთან ურთიერთობა საბჭოთა კავშირის პერიოდში საკმაოდ შენელებული იყო, ახლა სწორედ ამ ურთიერთობების გააქტიურება ხდება. ამის საუკეთესო საშუალება კი ჩვენთან ამ სათვისტომოს წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩამოსვლა და სწავლაა. ადამიანი, რომელიც საქართველოში ისწავლის მენტალიტეტითაც და ბევრი სხვა თვისებითაც კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება თავის ისტორიულ სამშობლოს.*

*მინდა მივულოცო ამ ახალგაზრდებს სტუდენტობა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უმაღლეს სასწავლებლებს იმისთვის, რომ ჩაერთნენ ამ პროგრამაში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასეთი მხარდაჭერისათვის – ყოველწლიურად 50 ადგილია განკუთვნილი პროექტისთვის „ისწავლე საქართველოში“. პროექტი რომ მნიშვნელოვანია თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის, ეს მათივე ინტერესით დადასტურდა. მე და ჩემი აპარატი კი მუდმივად მზად ვართ ასეთი პროექტებისთვის.“*

**„ქართულად საუბრის უხერხულობას“ მათ ინტენსიური ერთწლიანი ქართული ენის შესწავლის კურსი მოუხსნის, რაშიც პროექტის ავტორები დარწმუნებულები არიან. მთავარი ხომ ინტერესია, ინტერესი კი ამ ახალგაზრდებმა უკვე გამოხატეს**

**ბაათინ აქმან:** *„ქართულად ლაპარაკი ცოტა ვიცი, ამიტომ გამიჭირდება მოვყვე, რატომ ჩამოვედი. თბილისი ძალიან ლამაზია, ძალიან ლამაზია ბათუმიც, მე იქ ვისწავლი, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში – საინჟინრო ტექნიკურ ფაკულტეტზე. მერე კარგად ვისწავლი ქართულს. იქ ართვინში ვცხოვრობ. ვფიქრობ, კარგი გადაწყვეტილება მივიღე.“*

**ოსმანყრი კანანჯე:** *„მე იურიდიულ ფაკულტეტზე ვისწავლი. ვფიქრობ, აქ სწავლა გამომადგება ცხოვრებაში და კიდევ, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობასაც. ძალიან კარგი პროექტია. გმადლობთ.“*

* * *

სტამბულში, ართვინში, ბურსაში და სხვაგან მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ინტერვიუებზე ძნელად ან სულაც ვერ დავითანხმეთ. მათ, როგორც გვითხრეს, „სახლის“ ქართული იციან, ისიც, ძალიან ცუდად. ამიტომაც არჩიეს, ჯერჯერობით, თავი შეიკავონ სხვასთან ქართულად საუბრისაგან, მით ურფო ჟურნალისტებთან. თუმცა, ყველა აღიარებს, რომ კარგი პროექტია და ფიქრობენ, რომ ლიტერატურულ ქართულს ისწავლიან და შემდეგ თამამად მისცემენ ინტერვიუებს. „ქართულად საუბრის უხერხულობას“ კი მათ ინტენსიური ერთწლიანი ქართული ენის შესწავლის კურსი მოუხსნის, რაშიც პროექტის ავტორები დარწმუნებულები არიან. მთავარი ხომ ინტერესია, ინტერესი კი ამ ახალგაზრდებმა უკვე გამოხატეს – ისტორიულ სამშობლოში სასწავლებლად ჩამოვიდნენ. „ჩვენი სოფლებიდან აჭარის ცაც ჩანს და მთებიც – გვითხრა ერთ-ერთმა სტუმარმა – ეს ჩვენთვის მიმზიდველია და ახლობელი...“ როგორც საქართველოს სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული სტუდენტები, ისინიც იქირავებენ ბინებს და იცხოვრებენ დანარჩენი სტუდენტების გვერდით, ჯერჯერობით „სახლის“ ქართულით უხერხულად მოსაუბრენი, ყოველწლიურად კი, მათი სახით ქართული ენის ქომაგთა რიცხვი 50-ით გაიზრდება.

*ლალი ჯელაძე*



## სს „საქპრესა“ გთავაზობთ როგორც ხელმოწერით ასევე საცალო გაყიდვით შემდეგ გამოცემებს

### პოეზია

1. ტერენტი გრანელი
2. ტიციან ტაბიძე
3. პაოლო იაშვილი
   ვალერიან გაფრინდაშვილი
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი
   ალ. ჭავჭავაძე
   გრ. ორბელიანი
5. ვაჟა-ფშაველა
6. ლადო ასათიანი
   მირზა გელოვანი
7. ილია ჭავჭავაძე
   აკაკი წერეთელი
8. გალაკტიონ ტაბიძე
9. თეიმურაზ ბატონიშვილი
   არჩილი
   ვახტანგ VI
   ბესიკი
10. გრიგოლ რობაქიძე
    შალვა კარმელი
    კოლაუ ნადირაძე
11. იოსებ გრიშაშვილი
12. ხალხური ლექსი
13. იეთიმ გურჯი
    საიათნოვა
14. გაბრიელ ჯაბუშანური
15. მიხეილ ქვლივიძე
16. სიმონ ჩიქოვანი
17. ირაკლი აბაშიძე
18. ანა კალანდაძე
19. შოთა ნიშნიანიძე
20. გრიგოლ აბაშიძე
21. მურმან ლებანიძე
22. მუხრან მაჭავარიანი
23. მორის ფოცხიშვილი
24. ნიკო სამადაშვილი
25. იოსებ ნონეშვილი
26. შოთა ჩანტლაძე
27. ნიკო მიწიშვილი
    სანდრო შანშიაშვილი
28. სასულიერო ლირიკა
29. დავით გურამიშვილი
30. ძველი საერო პროზა

### ისტორიული პორტრეტები

1. ნაპოლეონი I ნაწილი
2. ნაპოლეონი II ნაწილი
3. ტროცკი I ნაწილი
4. ტროცკი II ნაწილი
5. დუდაევი
   (მილიონმეერთე გენერალი)
   I ნაწილი
6. დუდაევი
   (მილიონმეერთე გენერალი)
   II ნაწილი
7. 12 კეისარი I ნაწილი
8. 12 კეისარი II ნაწილი
9. ჩემი მეგობარი ადოლფი და ჩემი მტერი ჰიტლერი
10. რეზავ ფეჰლევი - ირანის უკანასკნელი შაჰი
11. გოლდა მეიერი - ისრაელის პირველი პრემიერმინისტრი ქალი
12. ესპანეთის სამეფო კარი
13. ჩინგიზ ხანი
14. ერეკლე II
15. ეკატერინე II
16. ლუი XIV
17. ფრანც იოსები
18. დედა დედოფალი
    (ელიზავეტა II-ეს დედა)
19. მონაკოს სამეფო
20. დავითი და სოლომონი
21. სიამის მეფე
22. გიორგი XII
23. ნიდერლანდების სამეფო კარი
24. სულთანი
25. იტალიის უკანასკნელი გაძევებული მეფე

### თვალსაწიერი

1. ოსკარ უაილდი - „დორიან გრეის“ პორტრეტი
2. პროსპერ მერიმე - მოთხრობები
3. დოსტოევსკი - მოთხრობები
4. ო’ჰენრი - მოთხრობები
5. მოპასანი - „ლამაზი მეგობარი“
6. გოგოლი - „მკვდარი სულები“, „შეშლილის წერილები“, „შინელი“, მოთხრობები
7. ჯონ აპდაიკი - „კენტავრი“
8. ჩეხოვი - მოთხრობები
9. რაბინდრათან თაგორი - „ოთხი ცხოვრება“, მოთხრობები
10. გუსტავ ფლობერი - „მადამ ბოვარი“
11. ედგარ ალან პო - მოთხრობები
12. ონორე დე ბალზაკი - „შაგრენის ტყავი“, მოთხრობები
13. ლევ ტოლსტოი - მოთხრობები
14. ვიქტორ ჰიუგო- „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ I ტ.
15. ვიქტორ ჰიუგო - ”პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი” II ტ.
16. თომას მანი - მოთხრობები
17. პუშკინი - ზღაპრები, მოთხობები
18. შტეფან ცვაიგი - მოთხრობები
19. ჯეკ ლონდონი - „რკინის ქუსლი“; მოთხრობები
20. რიუნოსკე აკუტაგავა - მოთხრობები, ნოველები
21. სალტიკოვ შედრინი - „ერთი ქალაქის ისტორია“
22. სომერსეტ მოემი-მოთხრობები
23. ხულიო კორტასი-მოთხრობები
24. სკოტ ფიცჯერალდი - „დიდი გეტსბი“
25. ლერმონტოვი - „ჩვენი დროის გმირი“; მოთხრობები

საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია, ფასი 2.50 ლარი, გამოსულია 18 ნომერი. თითო ტომის ღირებულება ადგილზე (სკოლებში) მიტანით – 3.50 ლარი.

ქართული პოეზია – გამოსულია 20 ტომი.
ცნობილი ადამიანების პორტრეტები – 3 ტომი.

თვალსაწიერი გამოდის მომდევნო კვირიდან.

საკონტაქტო ტელეფონები:
518 518; 51 59 05; 877 97 90 20

გამოცემები ხელმომწერებს მიეწოდებათ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში „საქპრესის“ ფილიალებში


სპორტი

# ოლიმპიელის დღე ახალ დარბაზში

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში ოლიმპიელის დღის – 6 ოქტომბრის აღნიშვნა ტრადიციად იქცა, თუმცა წლეულს საამისოდ დამატებითი მიზეზიც ჰქონდათ – როგორც იქნა, იქაურობას ნორმალური დარბაზი ეღირსა. სკოლაში სპორტული ინფრასტრუქტურა, პრაქტიკულად, რომ არ არსებობდა, ადრეც დაგვიწერია – დარბაზში წყალი ჩადიოდა და ისედაც შელახულ იატაკს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აგდებდა, ღია მოედნებზე კი არც ღირს საუბარი. ზემდგომნი დირექციას დახმარებას კი ჰპირდებოდნენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ სასიკეთო ძვრებს უფრო საგაისოდ ველოდით, მოახლოებული არჩევნების ფარგლებში. მისასალმებელია, რომ ბავშვების გახარება, მათთვის კეთილი საქმის გაკეთება პოლიტიკურ პიარზე წინ დააყენეს. მართალია, დარბაზი არასტანდარტულია და თან იქაური 1300-მდე მოსწავლისთვის – პატარაც, მაგრამ ადრინდელთან შედარებით, მაინც დიდი შენაძენია – სახურავიც გადახურეს და დარბაზში აღარ წვიმს, იატაკიც ახალი დააგეს, შეღებეს და მოაწესრიგეს გასახდელები. ერთი სიტყვით, სპორტული ცხოვრებისთვის უკვე მისაღები პირობებია და გასაკვირიც არაა, გუშინდელ ღონისძიებაზე, რაც ოლიმპიელის დღესთან ერთად დარბაზის საზეიმო გახსნის ცერემონიალსაც შეიცავდა, ყველაზე მხურვალე ტაში მშენებლებს რომ შეხვდათ.

თუმცა სკოლისთვის კვლავაც პრობლემად რჩება ღია მოედნები და აკი გუშინდელ ღონისძიებაზე ადგილობრივი ძალებით წარმოდგენილ ლიტერატურულ ნომერში ზემდგომთ კიდევ ერთხელ შეახსენეს დაპირება ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობის შესახებ. თუმცა მათი ლექსად გამოხატული თხოვნა ვის უნდა მოესმინა – როგორც გავარკვიეთ, მიწვევის მიუხედავად, ადგილობრივი რესურსცენტრიდან ღონისძიებას არავინ დასწრებია.

გუშინდელი ოლიმპიელის დღეც ძველი ლოზუნგით ჩატარდა – ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ. მასში მხოლოდ პირველკლასელებს არ მიუღიათ მონაწილეობა, სხვები კი ჯგუფებად დაჰყვეს. ყველაზე უმცროსები – II-VI კლასელები ერთმანეთს ბაგირის გადაძალვასა და 4X60-მეტრზე ესტაფეტაში ეჯიბრებოდნენ. VII-IX კლასელები – მინი-ფეხბურთში, ამ სკოლის ყველაზე ცნობილი კურსდამთავრებული სპორტსმენის, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ **გოგიტა გოგუას** პრიზზე, უფროსკლასელები კი ანუ X-XII-ის მოსწავლეები – ფრენბურთში. აქვე გეტყვით, რომ სკოლამ სპორტის გაკვეთილებზე სამ სავალდებულო საგნად სათამაშო სახეობები – ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი აირჩია. გუშინდელი დღის კულტურულ ნაწილშიც სამივე სახეობა იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს, უმცროს ასაკში ესტაფეტაში ყველა კლასელთა შეჯიბრებაში – გოგოებშიც და ბიჭებშიც ერთი და იგივე კლასის გუნდებმა იმარჯვეს. მეორეკლასელთა შორის ასეთი $II^1$ კლასის გუნდი აღმოჩნდა, მესამეკლასელებში – $III^3$, მეოთხეებში – $IV^2$, მეხუთეებში – $V^2$, მეექვსეებში – $VI^1$. ამ ასაკში ბაგირის გადაძალვაში მეორეკლასელებში $II^3$ კლასის გუნდმა გაიმარჯვა, მომდევნო კლასელებში კი, შესაბამისად, $III^1$, $IV^1$, $V^1$ და $VI^2$ კლასის წარმომადგენლებმა იმარჯვეს.

საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის მინიფეხბურთის ტურნირი გოგოებში და ბიჭებში ცალ-ცალკე ჩატარდა. გოგიტა გოგუას სახელობის პრიზი მეშვიდეკლასელებში, გოგოებშიც და ბიჭებშიც, $VII^2$-კლასელებმა დაისაკუთრეს. ეს ჯილდო ასევე ერთი და იგივე კლასის გუნდებს ერგოთ მერვეკლასელებშიც – $VIII^2$, IX-კლასელთა შორის კი გოგოებში $IX^4$, ვაჟებში კი $IX^1$-ის გუნდებმა დაისაკუთრეს.

უფროსკლასელებში ფრენბურთში შეჯიბრებები გოგოებსა და ვაჟებში ასევე ცალ-ცალკე ჩატარდა. გოგოებში კლასების მიხედვით, შესაბამისად, $X^3$, $XI^1$ და $XII^2$-ის გუნდებმა იყოჩაღეს, ვაჟებში – $X^4$, $XI^2$ და $XII^3$-კლასელებმა. ოლიმპიელის დღე დაჯილდოების ცერემონიალით დამთავრდა, სადაც გამარჯვებულებს თასები და დიპლომები გადაეცათ. ღონისძიება ადგილობრივი ძალებით წარმოდგენილი ქორეოგრაფიული ნომრით დასრულდა. მისასალმებელ სიტყვაში სკოლის დირექტორმა **სოსო ლაგვილავამ** მოსწავლეებს ახალი დარბაზი მიულოცა, წარმატებები უსურვა სწავლაში, ცხოვრებაში, სპორტში და გამოთქვა იმედი, რომ მათ შორის მომავალი ოლიმპიელებიც იქნებიან.

წვიმის მიუხედავად, სპორტული ღონისძიებები ახალგარემონტებული დარბაზის გარდა, ღია მოედნებზეც ჩატარდა, თუმცა წვიმამ ორგანიზატორთა გეგმები სერიოზულად შეაფერხა. საბედნიეროდ, მონაწილეები ავდარს არ შეუშინდნენ და საბოლოოდ სპორტული ზეიმი შედგა, რითაც ქართველ ოლიმპიელებსაც მიაგეს პატივი. აღსანიშნავია ისიც, რომ უმცროს ასაკში მოსწავლეებთან ერთად შეჯიბრებებში მასწავლებლები და მშობლებიც მონაწილეობდნენ. ეს დირექციის მიდგომაა, რასაც ადრეც მიმართავდნენ და სკოლა-ოჯახი-მშობლების სამკუთხედის ინტეგრაციას ითვალისწინებს. უფროსების მონაწილეობა ბავშვებს თავისებურ სტიმულს აძლევს და ჟინსაც ჰმატებს. თავის მხრივ, მშობლებსაც აძლევს საშუალებას, შვილები ცოტა სხვა კუთხით – არასაოჯახო ან თუნდაც არასაგაკვეთილო კუთხით გაიცნონ, ნახონ ისინი სპორტული აქტივობის პირობებშიც... დაგვეთანხმებით, სახლში მშობლები შვილებს ფიზკულტურა-სპორტის გაკვეთილებს არ უტარებენ და ამ გარემოში მათი ნახვა უფროსებისთვისაც სიახლეა. თანაც, იქნებ ამგვარმა მიდგომამ სპორტის პროპაგანდასაც შეუწყოს ხელი, რაც დღევანდელ საზოგადოებას ნამდვილად სჭირდება - როცა მშობელი შვილს სპორტულ მონაცემებს შეამჩნევს, თვითონვე დაინტერესდება სპორტულ წრეებში მისი ჩაბმით.

*ირაკლი თავაძე*


ახალი განათლება

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.